[illegible]

№ 179 1877–1905 № 179

სამშაბათი, 4 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაბეჭდილი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, სამშაბათს, 4 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნება:
პიკოვაია დამა
ოპერა 4 მოქმ. და 7 სურ. მუს. ჩაიკოვსკისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნოვოსპასკაია, კარრი, მიშეცკაია, რუდინა, კარპოვა: ბ-ნნი: სლავინი, ევლახიშვილი, ტომაშევიჩი, ჩისტიაკოვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი და შეინი
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.
ანონსი: ხვალ, ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს წარმოდ. იქმნება ჟიდოვკა ოპ. 4 მოქმ. და 5 სურათად.

ნაფიცი ვექილი
ივანე ზურაბიშვილი
გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41. (3—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
მიიღებენ ქალების და ბავშვების კაბებს შესაკერად იქვე მიიღებენ თეთრეულს შესაკერად და ნიშნების ამოკერვას.
ვერა, მოსკოვის ქუჩ. № 4
(5—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
შ. ვ. ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაზანახოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
. ქი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი პ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Тел.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხელ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. უორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ლვოვის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.
ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადიასტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.
ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157
გაწაძე ხფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

ვაბაშვილი გრიგოლ—კორპუსის ქუჩა, № 91.

მოქალაქობრივი მოვალეობა.

ტფილისის ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივი დრო დაუდგა. ცხოვრების ბრუნვამ დაარღვია საქმის ჩვეულებრივი მიმდინარეობა, შესწყდა მშვიდობიანი, უდარდელი პასი. ვითარებამ მოქალაქობრივი მოქმედება მოითხოვა, დადგა გამოცდის მომენტი...

არა ერთხელ გვსმენია, როგორც მწერლობაში, ისე კრებებზე ქალაქის ხმოსნების თავმომწონეობა: ჩვენი საბჭო შესანიშნავია, მას შეადგენენ განათლებული ხმოსნები, ის იშვიათია მთელ რუსეთშიო. მე მგონია, როცა ხმოსნებს თავი მოჰქონდათ თავისი განათლებით, ამით ალბად იმის თქმა უნდოდათ, რომ ჩვენ განათლებულები ვართ და, მაშასადამე, ქალაქის ინტერესებსაც უკეთ დავიცავთ, ვიდრე არა განათლებულებიო (იგულისხმეთ ხალხი). თუ როგორია ჩვენი საბჭოს მიერ ქალაქის ინტერესების დაცვა, ამაზე ლაპარაკიც მეტია: ვინც კი ცოტაოდნად ჩახედულია ქალაქის საქმეებში, ყველამ კარგად იცის, რომ ყოყოჩა საბჭოს ქალაქის ინტერესები ხეირიანად არასოდეს არ დაუცავს და ქალაქის კეთილდღეობისათვის თავი მაინც და მაინც არ უმტრევია. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ბუნებრივი კანონის წინააღმდეგობა იქნებოდა, რომ ტფილისის საბჭო გამონაკლი ყოფილიყო საზოგადო მოვლენისაგან. ხოლო საზოგადო მოვლენა ისაა, რომ მაღალ ცენზე დამყარებული საარჩევნო უფლება არასდროს არ იძლევა ისეთ კრებულს, რომელიც საერთო ინტერესებზე, ხალხის ინტერესებზე თავგამოდებით ზრუნავდეს. კლასობრივი დანაწილება იმდენად მძლავრი ისტორიული მოვლენაა, რომ ის აუცილებლივ აძლევს თავის ელფერს ამა თუ იმ კლასს და ამ კლასის მოქმედებასაც განსაზღვრავს თავისს კლასის ინტერესების ფარგლით.

ეს გარემოება არა ერთხელ აღუნიშნავთ ჩვენში. მაგრამ ხმოსნები და მათი ქომაგები ყოველთვის ცდილობდენ ასეთ კრიტიკოსებისათვის ბურთი პირში ჩაეჩარათ—გაეჩუმებიათ! როგორ თუ თქვენ ქალაქის წარმომადგენელთ კრიტიკის თვალით უყურებთ, მათ სისუსტესა და უძლურებას ამხილებთ,—ეს ხომ ადმინისტრაციის მომხრეობაა, ეს ხომ თვითმართველობის პრინციპის შელახვააო!.. იყვნენ გულუბრყვილონი, რომელთაც მართლა სჯეროდათ, რომ გლახა თვით-მართველობის გამართლება საჭიროა დღევანდელ პირობებშიო. მაგრამ სიგლახე რამდენიც უნდა ამართლოს ვინმემ, მას მაინც ცხოვრება არ გაამართლებს. თუ დღევანდელ უმოქმედო თვითმართველობით კმაყოფილი არაა მცხოვრებთა უმრავლესობა, რასაკვირველია, არა იმიტომ რომ, იგი ვითომ თვითმართველობის პრინციპს ებრძოდეს—პირიქით იმის სურვილია, ყალბ წარმომადგენლობის მაგიერ, ისეთი წარმომადგენლობისა, რომელიც მარტო კომპრომისების და კეკე-მალულობიის ტაქტიკას ადგია, დაამყაროს ნამდვილი წარმომადგენლობა ხალხის ინტერესებთან შეთანხმებული.

მეგობარი გაჭირვებაში გამოიცნობაო, ნათქვამია. მართლაც, თუ რამე ღონე გერჩის კაცს, სწორედ მაშინ უნდა გამოიჩინო, როცა ამას ცხოვრება დაუყოვნებით მოითხოვს. უმაგალითო ტრაგედია, რომლის მოწმენი ჩვენ ვიყავით, დაგვირგვინება იყო იმ ვითარებისა, რომელშიაც დღეს ვცხოვრობთ. ქალაქის საბჭოს მიერ ასეთი მოვლენის წაყრუება შეუძლებელი იყო. მართლაც პირველ ხანებში საბჭო ცოტათი ახმაურდა; ამოძრავდა... მაგრამ დღეს თანდათან ირკვევა, რომ იგი პირველ დღეებში იქცეოდა არა როგორც შეგნებული ძალა. ის მაშინ „გრძნობებს“ აჰყვა, ხოლო შემდეგ, რამდენადაც დრო მიდიოდა, იმდენადვე გრძნობა მიუყუჩდა, დაწყნარდა და სამაგიეროდ სრულიად არ გამომჟღავნდა შეგნება მოვალეობა... თანდათან აშკარავდება, რომ ხმოსანთა უმრავლესობა მზადაა უკანვე წაიღოს განცხადებისა და ისევ დაუბრუნდეს ძველებურ მოქმედებას. მერე განა გარემოება შეიცვალა? განა რომელიმე იმ მოთხოვნილებათაგანი, რომელიც ხმოსნებმა წამოაყენეს, განხორციელდა? განა ჩვენ უზრუნველ ყოფილი ვართ, რომ ხვალ ამგვარ ამბავს ადგილი არ ექნება? რასაკვირველია, არა. და თუ, მიუხედავად ამისა, ხმოსნებს შესაძლოდ მიაჩნიათ საქმეს ხელ-ახლა დაუბრუნდნენ, ეს მხოლოდ კომედიაა; ეს გუშინდელ ნამოქმედარის დღეს გაყალბებაა. ასეთი საქციელი იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქს არ ჰყავს თავის ინტერესების ნამდვილი დამცველი, რომ საბჭოს არ სურს ქალაქის უსაჭიროესი, ელემენტარული მოთხოვნილებანი დაიცვას იმდენადაც კი, რამდენადაც ეს მის ხელთაა და კიდეც შეუძლია. დღევანდელი თვითმართველობა მხოლოდ ფიქციაა და მას უფლება არა აქვს მთელი ქალაქის წარმომადგენლობა დაიჩემოს.

პ. სურგულაძე

კიდევ ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კრების გამო

მე დარწმუნებული ვარ, რომ მკითხველს შეუნიშნავი არ დარჩებოდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების მუშაობა. ერთი ნაწილი ქუთათური პედაგოგებისა, უფრო კი დიდი „ოკლადის“ დამძიმებული ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს ამ მუშაობას, ბავშვურ გატაცებად მიაჩნია იგი და უბრალო მეოცნებეთა სახელით ნათლავს სოფლის მასწავლებლებს; მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც არ სცხრებიან, მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებისა კრებას კრებაზე მართავენ და თავიანთ კანონიერ მოთხოვნილებაში თანდათანობით უფრო მაღლა მიდიან.

როგორც წინა წერილში მქონდა ნათქვამი, აქ შესანიშნავი ის არის, რომ ნახევრად მშიერი სოფლის მასწავლებელი არც ერთ კრებაზე თავის ნივთიერ მდგომარეობის შესახებ ხმას არ იღებს და მხოლოდ იმას ჰგოდებს, რომ ჯერ საოსტატო სემინარიამ არ მისცა მას თითონ მისი დიდად პასუხსაგები მოწოდების შესაფერი მომზადება და მერე კიდევ სკოლაში გამეფებულმა პოლიტიკანობამ მძიმე ბორკილი დაადო მისს სურვილებს და სოფლად იმის გაკეთებაც ვერ მოუხერხებია, რაც მისი ცოდნიდან მოსალოდნელი იყო. ამიტომაც მთელი კამათი ამ კრებებზე ორ საკითხის გარეშემო ტრიალებდა:

ა) რა საშუალება უნდა ვიღონოთ, რომ ეხლანდელი სოფლის მასწავლებელი ამაღლდეს გონებრივად, მომზადდეს და საკმაოდ გაფართოვებული თანამედროვე მოთხოვნილების შესაფერად შესძლოს სოფლად მუშაობა?

ბ) როგორი უნდა იყოს სასწავლო გეგმა და თვით სკოლის ორგანიზაცია, რომ იმაში მუშაობა უფრო ნაყოფიერი გახდეს?

პირველი საკითხის შესახებ კრება იმ გარდაწყვეტილებას დაადგა, რომ საკუთარის ინიციატივით მოაწყონ ლექციების კითხვა სხვადასხვა საგნებში, მოიწვიონ ლექტორები, შეიძინონ საჭირო წიგნები, დაიარსონ წიგნთ-საცავი და ამგვარად ხელი შეუწყონ მასწავლებლების გონებრივად და ზნეობრივად ამაღლებას. რაც შეეხება მეორე საკითხს, ამის საპასუხოდ კრებამ ის გეგმა გამოიტანა, რომელსაც „ივერიის“ მე-163 №-ში სამართლიან მსჯავრს სდებს ბ-ნი პ. სურგულაძე და რომლის შესახებ კიდევ უფრო ბევრს ლაპარაკობენ ადგილობრივ საზოგადოებაში. ერთი სიტყვით მასწავლებლებმა მიიღეს მტკიცე გარდაწყვეტილება: ან უფრო გაანაყოფიერონ სოფლის სკოლაში მეცადინეობა, ან სრულიად ხელი აიღონ იგვარ მუშაობაზე, რომელსაც სოფელმა უკვე გამოუცხადა თვისი უნდობლობა.

ოცნების ნაყოფია ყველა ეს, როგორც „დინჯი“ პედაგოგები ფიქრობენ, თუ ცხოვრების დაკვირვებით მიიღეს სოფლის მასწავლებლებმა ასეთი გარდაწყვეტილება? დამარცხდებიან მასწავლებლები თავიანთ მისწრაფებაში, თუ სისრულეში მოიყვანენ ამ გარდაწყვეტილებას? პირველ საკითხზე პასუხის მიცემას ჯერჯერობით ჯინჯილოსან პედაგოგებს დავუთმობ, მინდა ამათაც იტეხონ თავი. ხოლო რაც შეეხება მასწავლებლების გამარჯვებას, გინა დამარცხებას, ეს სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაუჭერენ მათ მხარს დანარჩენი კოლლეგები, ან და თითონ საზოგადოება რამდენად შეუწყობს ხელს მათ გადაწყვეტილების განხორციელებას. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მასწავლებლების ადგილზე ყველა საღი ადამიანი ამ გარდაწყვეტილებას მიიღებდა და სხვა გვარად მოქცევა მხოლოდ მას შეეძლო, ვინც სოფელთან ძლიერ დაშინაურებულია, ვინც სრულიად არ იცნობს ხალხს, არ ესმის მისი სულის კვეთება და, თავის კაბინეთის ოთხ კედელშუა გამომწყვდეული, მართლა რომ ოცნებაზე ამყარებს თავის გარდაწყვეტილებას.

ცხოვრება დუღს, ბობოქრობს. უფსკრული, რომელიც გაითხარა ხალხსა და ბიუროკრატიას შორის დღითი დღე ღრმავდება, უკმაყოფილობა თანდათან იზრდება. დღეს ეს უკმაყოფილება ნამდვილი ხალხის რისხვად გადაქცეულა და მეხივით ასკდება თავზე ყოველსავე იმას, რასაც სიძველის ბეჭედი აზის და ფაქტიურად აუქმებს იმას, რაც მისს შეხედულობას არ შეესაბამება მამასახლისების და მათ ჩაფრების, სოფლის მოსამართლეთა, სოფლის მწერლების, მომრიგებელ მოსამართლესი, მომრიგებელ მოსაშვალესი და ძმათა მისთა საქმეს დღეს სხვადასხვა ორგანიზაციები ასრულებენ.

რა თქმა უნდა, გამფხიზლებელ ხალხის ყურადღებას არც სასოფლო სკოლა და მისი ხელმძღვანელი მასწავლებელი გამოეპარა. სოფელი მიხვდა, რომ საღი ცოდნა მეტად საიმედო იარაღია ცხოვრებასთან ბრძოლაში საზოგადოდ და განსაკუთრებით ასეთ მძიმე დროს, როცა საზოგადოებას სოციალური პირობების შეცვლის სურვილი მოსდებია, როცა მთელი ხალხი განახლების გზაზე შემდგარა, ხალხი მიხვდა, რომ განათლებული ერების ისტორიის ცოდნა, მათი გამოცდილებით და დაკვირვებით სარგებლობა, თანამედროვე პირობების და მომქმედ ძალთა განწყობილების კარგად გათვალისწინება და მომავალ სოციალურ წყობილების შესახებ საღ წარმოდგენის შემუშავება აუცილებელი რამეა მათთვის. დიაღ, მიხვდა ყველაფერს და ძალა უნებურად მიიხედა სახალხო სკოლისაკენ, რომელიც ვალდებული იყო ცოტანი მაინც პასუხი გაეცა ხალხის კანონიერ მოთხოვნილებისათვის და სამეოთხედოდ მაინც დაეკმაყოფილებინა მასსაში აღძრული ცოდნის წყურვილი. მიიხედა და რა დაინახა? ეს ერთად ერთი სოფლად მბჟუტავი გონების ლამპარი იქნამდის დაბეჩავებულა, დედა-ენაზე უბრალო წერა-კითხვის მოცემასაც უარობს თავის ქნევით, ნუ დაგვავიწყდებით „თავის ქნევით“, ისე დაუმუნჯებია იქ გამეფებულ მუნჯურ მეთოდს. იქ ყველაფერი ძალად გარუსების, თავის თავის უარყოფის პოლიტიკის გარშემო ტრიალებს, ყველა სასწავლო საგნების საბოლოვო მიზანი მხოლოდ ეს არის და სკოლის უწმინდესი დანიშნულება სოფლის გონებრივი და ზნეობრივი ხელმძღვანელობა—მხოლოდ ამ სამარცხვინო პოლიტიკას ეწირება მსხვერპლად.

გადაჭარბებულად არ უნდა ჩაგვეთვალოს, თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი ჩვენებური სახალხო სკოლა, გონებრივისა და ზნეობრივის ცენზის ნაცვლად მხოლოდ მორჩილებისა და მონობის უნარს თხოულობს მასწავლებლისაგან, სხვას არაფერს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი დიდი წყურვილი ცოდნის შეძენისა ხალხში არასოდეს არ ყოფილა. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, ყველას წიგნი აუღია ხელში, ყველა გატაცებით კითხულობს, კითხულობს სახლში, კითხულობს გზაში, რკინის გზის ვაგონში, კითხულობს სიარულის დროს ქუჩაში და, ასე გასინჯეთ, სადილობის დროსაც წიგნს არ უშვებს ხელიდგან. რადგან სკოლამ სამეოთხედოთაც ვერ დააკმაყოფილა ხალხში საკმაოდ გაზრდილი სულიერი მოთხოვნილება, რადგან იქ ორკეცი ცენზურის წყალობით აზროვნება შებოჭილი დარჩა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა, აქ უსმენს ორატორებს, მსჯელობს, ეწაფება წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს, ერთი სიტყვით, საკუთარის ძალღონით იკვლევს გზას ცოდნისაკენ და სკოლის უნდობლობას უცხადებს.

დიაღ, მან ზურგი შეაქცია არსებულს ტიპს სკოლისას და, თუ თითონ სკოლის ხელმძღვანელებმა არა იღონეს რა და სკოლას დროის შესაფერი სული არ შთაბერეს, ხალხი თითონ საკუთარის ინიციატივით შეჰქმნის სკოლას, შეჰქმნის ისე, როგორც გაიჩინა სხვა მისთვის აუცილებლად საჭირო ორგანიზაციები.

როგორ? ხალხი შეჰქმნის სკოლას? რომელიმე კიკოლიკას, გინა ხახულიკას სასწავლო გეგმის შედგენა და თვით სკოლის ორგანიზაციის შემუშავება შეუძლია? იკითხავს რომელიმე უნდობელი ადამიანი, რომელსაც ხალხის შემოქმედებით ძალისა არა სწამს რა და დარწმუნებული არის, რომ იგი ორსავ თვალით ბრმასავით გაიჩეხებოდა სადმე, ნათლის სვეტად წინ ინტელიგენცია რომ არ უძღვებოდეს. ამისთანა ვაჟბატონებს მოვაგონებთ, რომ ინტელიგენტი ბევრი გვინახავს გზაკვალ აბნეული, ბევრიც გადაჩეხილი და უფრო ბევრი კიდევ ცხოვრებიდან უმსგავსოდ გარიყული, ხოლო ხალხი და მისი ჭეშმარიტი იდეოლოგები ძალიან მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ, ხალხის შემოქმედებითმა ნიჭმა ბევრ რამეში იჩინა თავი და სასკოლო საკითხშიაც დაგვიმტკიცებს თავის სიმწიფეს, დაგვიმტკიცებს, რომ მას შეუძლია „უპატრონოთ“ საკუთარი საქმეების მოგვარება.

აი, ხალხის ამგვარ მისწრაფებაში უნდა ვეძიოთ სათავე იმ გადაწყვეტილებისა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მასწავლებლებმა მიიღეს. შეეძლოთ განა მასწავლებლებს სხვაგვარად მოქცევა? არა! სოფლის მასწავლებელი ხალხის შვილია, ხალხში ტრიალებს, ესმის მისი სულის კვეთება და ის მხოლოდ ზნეობრივ მოვალეობას ასრულებს. როცა თითოეულს თავის ნაბიჯს ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას უთანხმებს. ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლებიც ასე მოიქცნენ: ამათ შენიშნეს საზოგადოებაში სკოლის არსებულ ტიპით უკმაყოფილება, დაინახეს ხალხში დაბადებული სურვილი სკოლის განახლებისა და საზოგადოების კანონიერ მოთხოვნილებას თავის გარდაწყვეტილებით მხარი დაუჭირეს.

დასასრულ, კვლავ ვიკითხავ: ოცნება არის მასწავლებელთა გარდაწყვეტილება, თუ უფრო ადრე იმ პედაგოგებს გარიყავს ცხოვრება, რომელთაც ამ დადგენილებას მხარი არ დაუჭირეს? ამას მომავალი გვაჩვენებს.

შუბნელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დემონსტრაცია მილიტარიზმის წინააღმდეგ პარიზში. ამ დღეებში საფრანგეთში ახალი პარტია გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. ამის გამო პარიზში სოციალ-რევოლუციონერებმა შრომის ბირჟაში განცხადებანი გააკრეს, საშინლად გაჰკიცხეს სამხედრო სამინისტრო, მილიტარიზმი, ჯარი და ჯარში გაწვეულთ ურჩიეს, ამადაამ ადგილზე შეიკრიბეთ და მილიტარიზმის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოახდინეთო. პოლიციამ ეს განცხადებანი ჩამოგლიჯა და „შესაფერი“ ზომები მიიღო. კლერიკალებისა და ნაციონალისტების გაზეთები სასტიკ ზომებს თხოულობენ რევოლუციონერების წინააღმდეგ (ნ.).

საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის ბრძოლა ჰუნგრეთში. შეერთებულ ოპოზიციას, რომელმაც ეროვნულ არმიის შექმნა მიზნად გაიხადა, მედგარი ბრძოლა აუტეხა სოციალისტების პარტიამ, რომელიც ჯერ საყოველთაო საარჩევნო უფლებას თხოულობს და მერე ეროვნულ არმიას. დანარჩენი პარტიები საყოველთაო არჩევნებს უარყოფენ, რადგან ამ რეფორმას თვითონ მადიარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელ ჰუნგრეთში 18 მილიონი მცხოვრებია; აქედან 8 მილიონი მადიარია, 11 მილიონი კი დანარჩენ ერებს ეკუთვნის, მაგრამ არჩევნები ისეა მოწყობილი, რომ ჰუნგრეთის პარლამენტში ერთი დეპუტატიც არ არის სხვა ეროვნებისა. ამრიგად, 11 მილიონი არამადიარი საარჩევნო უფლებას მოკლებულია. ამას, რასაკვირველია, წინ აღუდგნენ სოციალისტები და საყოველთაო არჩევნები მოითხოვეს. ამ ნიადაგზე საშინელი ბრძოლა ატყდა შეერთებულ პარტიებსა და სოციალისტებ შორის.

ქუჩის დემონსტრაციები ჰუნგრეთისთვის ახალი ხილი არ არის და სოციალისტებიც ამ დემონსტრაციებით მშვენივრად სარგებლობენ, ნაციონალისტები კი ამ იარაღს ვერ ხმარობენ, რადგან შესაფერი ორგანიზაცია არა აქვთ. სოციალისტებს ისეთი მშვენიერი ორგანიზაცია აქვთ, რომ დანიშნულ დღეს სადაც უნდათ 80 და 100,000 სოციალისტებს მოუყრიან თავს. ამას წინად ნაციონალისტებმა დემონსტრაციის მოხდენა განიზრახეს და ამისთვის პროვინციებიდან და ქალაქის ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხი დაიბარეს, მაგრამ სოციალისტები აქაც კრიჭაში ჩაუდგნენ და გამოაცხადეს, ჩვენც სწორედ მაგ დროს და მაგავე ქუჩაში დემონსტრაციის მოხდენა და საყოველთაო არჩევნების მოთხოვნა გვინდაო. ბუდაპეშტის პოლიციის გამგემ სოციალისტებს სთხოვა, თქვენი დემონსტრაცია სხვა დროისთვის გადასდეთ, ან სხვა ქუჩებში მოახდინეთ, თორემ ორივე პარტია ერთმანეთს შეხვდება და უეჭველად მოახდენთ რასმესო. სოციალისტებმა უარი უთხრეს: პოლიციის გამგემ ორივე პარტიას აუკრძალა დემონსტრაციის გამართვა. პარტიის გარეშე მდგარმა ხალხმა პოლიციის გამგის საქციელი გაამართლა, რადგან ნაციონალისტები ჩხუბის გუნებაზე არიან და მოიგდებენ თუ არა მიზეზს, მაშინვე აყალმაყალს ასტეხენ. თუ არა გადაკიდებულნი არიან ზემოხსენებულნი პარტიები, შემდეგ მაგალითად სჩანს: ამას წინად ნაციონალისტ სტუდენტებმა უნივერსიტეტის რექტორს მოსთხოვეს, სოციალისტ-სტუდენტები დაითხოვეთ და უნივერსიტეტში ნუ უშვებთო, თორემ ჩვენ მაგათთან სწავლა არ შეგვიძლიანო. რექტორმა ეს თხოვნა, რასაკვირველია, არ შეასრულა.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე თითქმის ყველა სადგურის **საწყობები და პლატფორმები სავსეა საქონლით.** განსაკუთრებით ბაქოსა და ქუთაისს ტევა აღარ არის,—დატვირთული ვაგონები დგანან უადგილობის გამო. ამისათვის ამ სადგურებზე მარტო ის ტვირთი გაიგზავნება, რომელიც ჩქარა წასახდენია,—დანარჩენი საქონელი ახალ განკარგულებამდის არ მიიღება იქ გასაგზავნად. სადგურებზე კავკასიის რკინის გზით ბალაჯარის სადგურზე სამასამდე ვაგონები აქვს მისაღები ამიერ-კავკასიის რკინის გზას, მაგრამ,

რადგანაც თითქმის ყველა საწყობები სავსეა გასაგზავნ საქონლით, ვერ მიუღია ის ვაგონები.

◆ როგორც გვატყობინებენ, ს. მეჯვრისხევის მახლობელ ტყეში **მოუკლავთ წითელი რაზმის უფროსი ტ. მღებრიშვილი.** საქმე ასე ყოფილა: ტ. მ—ვილს ოსისთვის წაერთმია ბერდანის თოფი, ოსის ძმას უთქვამს მ—შვილისათვის, მეც მიმიღმე შენ რაზმშიო, იმასაც მიუღია და, როდესაც ტყეში სძინებიათ ოსს თოფი დაუხლია, მოუკლავს და გამოქცეულა.

◆ ზემო-ნიქოზის (ქართლი) **ვენახში მოუსწვრიათ ექვს წითელრაზმელისათვის,** რომელთაც სძინებიათ, დაუჭერიათ და იარაღი აუხსნიათ. რაზმელები საუკეთესო ბერდანებით იყვნენ შეიარაღებულნი.

◆ პარასკევს 30 სექტემბერს, შუადღის 4 საათზე, ავჭალის ქუჩაზე ორი ტყვიით **მოჰკლეს კონკით მიმავალი თავ. გენო ამილახვარი.** მოკლული ერევნის მოედნიდან ვოკზალზე მიდიოდა. მკვლელები უცდიდნენ მაზუტნი ქუჩის ბოლოს. კონკა რომ დაუახლოვდა ამ ქუჩას, მკვლელები უცბად შეცვინდნენ ვაგონში და მრავალ მგზავრის თვალწინ ამილახვარს ორჯელ რევოლვერები დაახალეს, შემდეგ ვაგონიდან ჩამოხტნენ და მაზუტნი ქუჩით ნაძალადევისკენ გაიქცნენ. მკვლელებს უკან დაედევნენ პოლიციელნი, მაგრამ მკვლელები მიიმალნენ. მძიმედ დაჭრილი ამილახვარი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. მოკლულს ვაგონში გვერდზე უჯდა სტრელკ. ბატალიონის აფიცერი სჩერბაკოვი, რომელსაც ტყვიამ ქუდი გაუხვრიტა.

◆ შაბათს, 1 ოქტომბერს, ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, ქალაქის ხმოსნებმა, როგორც იმათ, რომლებიც სამსახურიდან გადადგნენ, ისე იმათ, რომელთაც არ უნდათ სამსახური ხელიდან გაუშვან, **კრება გამართეს. კრებას 40 კაცი დაესწრო.** ხმოსნებს თათბირი ჰქონდათ ტფ. გენერ. გუბერნატორის განცხადების შესახებ, რომელმაც, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან, მოითხოვა, რომ სამი დღის განმავლობაში წარუდგინონ სამსახურიდან გადამდგარ ხმოსანთა სია. კამათმა სამ საათს გასტანა. ერთი ჯგუფი ხმოსნებისა ამტკიცებდა, სანამ ჩვენ მიერ წარდგენილ პირობებს არ შეგვისრულებენ, არამც თუ ხმოსნები, არც გამგეობა და არც აღმასრულებელი კომისიები სამსახურში არ უნდა დარჩნენო. დაე, მცხოვრებნი დარჩნენ უწყალოდ, უპუროდ, ბნელაში და სხვა, ამით პროტესტი უფრო გრძნობიერი იქმნებაო. ხმ. ქუჩარიანცი თხოულობდა ნურაფერ მოთხოვნილებას ნუ წარვუდგენთ. ახლავე სამსახურს დავუბრუნდეთო. ხმ. ბაბოვის აზრით ნამესტნიკთან დეპუტაცია უნდა გაიგზავნოს. გიორგი თუმანოვი თხოულობდა, ვიშუამდგომლოთ, რომ ახალი არჩევნები მალე დაინიშნონ, მანამდინ კი დროებით სამსახურს ისევ დავუბრუნდეთო. ამ წინადადებას კენჭი უყარეს და, 13 ხმის უმეტესობით 11—წინააღმდეგ, კრებამ მიიღო იგი.

◆ კვირას, 2 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ხარფუხში, სიდაბადის ქუჩაზე, 3 ტყვიით **მძიმედ დასჭრეს ამ უბნის პოლიციელი** მარკოზ სავრიევი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც გუშინ, 3 ოქტომბერს, გარდაიცვალა. მკვლელი ვერ იპოვნეს.

◆ კვირას, 2 ოქტომბერს, ავჭალის ქუჩაზე მიქაძის დუქანში, არ. შვედოვს ვიღაც უცნობმა კარებიდან რევოლვერი ესროლა და მუცელში მძიმედ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მიზეზი შურისძიება ყოფილა.

◆ გუშინ, 3 ოქტომბერს, **აკურთხეს ავლაბრის მე-2 სავაჟო პროგიმნაზია.** კურთხევას დაესწრნენ: ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, გამგეობის წევრნი: ნ. პ. კოკჩაევი, ნ. ი. არღუთინსკი,—რამდენიმე ხმოსნად ნამყოფი, პროგიმნაზიის ყველა მასწავლებელი და მოწაფეთა მშობლები. კურთხევის შემდეგ მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა მისასალმებელი სიტყვა უთხრა დამსწრეთ. მოურავის შემდეგ ინსპექტორმა ბ-ნმა ი. ღულაძემაც წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა. დღეს ამ პროგიმნაზიაში დაიწყება წესიერი მეცადინეობა. მესამე კლასი ჯერ არ გაუხსნიათ, რადგანაც მხოლოდ 12 კაცს შეუტანია დღემდე თხოვნა

◆ **სად ნახჩევანიდან,** ულუხანლუ-სპარსეთის გზაზე, გვატყობინებენ: როდესაც სახალხო მატარებელი № 3 სადგურზე შემოვიდა, ჟანდარმებმა მატარებელი გაჩხრიკეს და **მგზავრებს ოჰანესიანცს, ხაჩატურიანს და ოვაკიმოვს** უპოვეს 4 ვინტოვკა, 45 თოფის პატრონა, 50 რევოლვერი, 160 რევოლვერის პატრონა და $8^1/_2$ გირვანქა თოფის წამალი.

◆ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ლინდენი კავკავის გზაზე არსებულ საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა **სარევიზიოდ გაემგზავრა.**

◆ ბაქოში გაზეთების გამყიდველებმა—მაჰმადიანებმა გუბერნატორს განუცხადეს, ჩვენი **ამხანაგები, პროფესიით, სომხები ძალიან გვავიწროვებენ,** არ გვიშვებენ ვოკზალზე რუსეთისა და კავკასიის გაზეთების მისაღებად, რამდენჯერმე გვცემეს და დღიური მონაგები ფული წაგვართვესო. გუბერნატორმა ამ საქმის გამოძიება პოლიცმეისტერს მიანდო.

◆ ბაქოს სკოლების ბევრი მასწავლებელი ჯერაც არ დაბრუნებულა ბაქოში, რის გამოც სკოლებში რიგიანი სწავლა ჯერ არ დაწყებულა. ამ ჟამად სკოლების უფროსმა ამ მასწავლებლებს ქაღალდები გაუგზავნა, თუ დაუყოვნებლივ არ გამოცხადდით ბაქოში, ოლქის მზრუნველის წინაშე შუამდგომლობას აღვძრამ, რომ თქვენს ადგილებზე სხვა მასწავლებლები იქმნან მოწვეულნიო.

◆ სადგურ ქსანზე პოლიციამ შეიპყრო რკინის გზის მოსამსახურე თ. ნიჟნევეცკი, რომელიც ს. მუხრანში დაბანაკებულ ჯარის კაცთა შორის რევოლუციონურ აზრებს ავრცელებდა.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ხმელეთის ჯარების მთავარ-ინსპექტორი გენერალ-ადიუტანტი **გრიპენბერგი.**

◆ გუშინ, 3 ოქტომბერს, კავკასიის ნამესტნიკმა გენერალ ადიუტანტ გრიპენბერგთან ერთად **დაათვალიერა ჯარები,** რომელნიც დიდუბის მოედანზე არიან დაბანაკებულნი. ჯარების დათვალიერების შემდეგ ცერემონიალური მარშით ჯარები თავთავიანთ სეზამთრო სადგომში დაიშალნენ.

◆ ქალაქის მოურავის მოადგილემ ყველა ხმოსნებს დაუგზავნა წერილები, რომლითაც სთხოვს აცნობოს, **ვის სურს სამსახურში დარჩენა.**

◆ ტფილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში წელს **კენჭის ყრის დროს** ექიმად დაინიშნა ზელხიცკი.

◆ გუშინ დაასაფლავეს ვაჟთა პირველ გიმნაზიის ყოფილი **ინსპექტორი ობლომსკი.** დაკრძალვას მრავალი ხალხი და მოწაფეები დაესწრო

◆ დროებით გენერალ-გუბერნატორმა აცნობა პოლიცმეისტერს, რა წესით უნდა იმოგზაურონ ქალაქში ველოსიპედისტებმა: თვითეულმა მათგანმა უნდა თხოვნით მიმართოს პოლიცმეისტერს, შეიძინოს 2 ნომერი ლგოდაკის საველოსიპედო. ქარხნიდან, თითო ნომერი 7 შაურად. თუ ეს ნომერი არა აქვს, ველოსიპედისტი კანონის ძალით დაისჯება, ხოლო ლგოდაკი 500 მ. დაჯარიმებულ იქნება, თუ დაწერილებით ვინაობის და პოლიცმეისტრის ქაღალდ მიუსვლელად მისცემს ვისმე ნომრებს. პირველი № უნდა მი[illegible]როს ბაირაღის მსგავსად წინ, ხოლო მეორე უკან.

◆ კვირას, 2 ოქტომბერს, დილის 10 საათზე სალდათის ბაზარში, ერთი **აურ-ზაური და ალიაქოთი ასტყდა:** ვიღაც ხულიგანმა დაიყვირა, თავს უშველეთო. ბრბოს თავზარი დაეცა და ყოველის მხრისაკენ უგზო-უკვლოდ გაექანა; ერთი დედაკაცი ტრამვაის ლიანდაგს დაეცა და თავი გაუტყდა, ბევრს გული შეუღონდა და ბევრიც დაშავდა. ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ხერხი ჯიბგირებს გამოეგონებინათ, რათა ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა გაეჩაღებინათ და სხვის ჯიბეებით ხელი მოეთბოთ.

◆ კვირას, 2 ოქტომბერს, კავკ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი, **სამსახურის საქმეთა გამო, მოკლე ხნით ბაქოს წავიდა.**

◆ სოფ. თამარაშენში (ქართლი) მოუკლავთ ბაბუციძე. მკვლელი ვერ იპოვნეს.

◆ კვირას, 2 ოქტომბერს, ქ. ახალციხეში გემგზავრა ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესსია.** თავმჯდომარეა პ. ა. იფლიანდი, სასამართლოს წევრებად ნ. ა. ტარსაიძე და ი. ფ. მაიგური. ბრალმდებლად კ. ვ. ორლოვსკი. სესსია 10 ოქტომბრამდე დარჩება.

◆ კვირას ქ. თელავში წავიდა **ტფ. ოლქის სასამართლოს მეორე სესსია.** თავმჯდომარეა ვ. ფ. პადალკო. სასამართლოს წევრად ვ. ა. დრჟევიცა-კოვვაჩი. ბრალმდებლად ა. ა. კარასევი სესსია დარჩება 8 ოქტომბრამდე.

◆ საქართველოს ექსარხოსმა შუამდგომლობა აღძრა სინოდის წინაშე, რომ ბერძენი და რუსი მოწაფეები, რომელთაც **გაფიცვაში მონაწილეობა არ მიიღეს,** მიღებულ იქმნენ რუსეთის სხვადასხვა სემინარიებში, როგორც კეთილ-საიმედონი.

◆ უწმ. სინოდში **ექსარხოსმა გაგზავნა** დაწვრილებითი მოხსენება სემინარიაში მომხდარ ამბების შესახებ.

◆ დუშეთის მაზრაში ამჟამად **მდგარ ჯარების უფროსად დაინიშნა** არტაანის მე 5-ე პლასტუნის ბატალიონის უფროსი უ. კ. ჩურაკოვსკი. მასვე დაუმორჩილეს დუშეთის სამაზრო პოლიციაც.

◆ იმ კომისიამ, რომელიც მემამულეთა ზარალის **გამოსაკვლევად არის შემდგარი,** დუშეთის მაზრაში დაამთავრა თვისი მოქმედება სოფლებ მუხრანსა, ძალისსა და მჭადისჯვარში და კვირას, 2 ოქტომბერს გაემგზავრა გურამიანთკარში ადგილობრივ მემამულის სტაროსელსკის წანახედის შესაფასებლად და გადასახდევინებლად. კომისიაში არიან მაზრის უფროსი ფონ-ბოურგარტენი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი ყაზიბეგი, მომრიგებელი შუამავალი შახმალიევი და ხარჯის ამკრეფი ინსპექტორი ვლ. პიოვაროვი. გურამიანთკარიდან კომისია ქოპორტის საზოგადოებაში გადავა და თავ. ხიმშიაშვილების ზარალს შეაფასებს. იქიდან ქსნის ხეობაზე გაემგზავრება.

◆ მცხეთობამ 1 ოქტომბერს, **თითქმის არავინ მიიზიდა.** მცხეთის გალავანში და კარ-მიდამოში ვერ შენიშნავდით ვერც ერთ ჩარდახიან ურემს მლოცავებისას. ამ დღისათვის დანიშნული მატარებლები სულ ცარიელი მიდი-მოდიოდა. მცხეთის მოშორებით მოსჩანდა მხოლოდ დაბანაკებული ჯარი და ცხენოსან კაზაკთა რაზმი. თვით სადგურზე კი დუშეთის მაზრის უფროსი, ჟანდარმთა ოფიცრები და ადგილობრივი ბოქაული იმყოფებოდნენ.

◆ გუშინ, 3 ოქტომბერს კავკასიის ნამესტნიკმა **ვერაზე მდგარი ჯარები დაათვალიერა.**

◆ სოფ. კასპიდან გვატყობინებენ რომ იქ კაზაკებთან შეტაკების დროს **მოკლულ იქმნა** „ნაპოლეონის“ სახელით მავალი გლეხი.

◆ როგორც სოფ. ხატისთელეთიდან (ტფილისის მაზრა) გვატყობინებენ: შაბათს, 1 ოქტომბერს ახალქალაქის მაზრის სოფ. როდიონოვის მცხვრებ ივ. ვეჟუგინის მეცხვარეებს, რიცხვით 14 კაცს მოჰყავდათ ცხვარი და, როდესაც საზამთრო ბინებში, რომელიც სანდრო კენჭაძეს, ეკუთვნის გაჩერდა ცხვარი, ბინის პატრონმა გარეკვა მოისურვა თავის ადგილებიდან. ასტყდა ჩხუბი, რომლის დროსაც მეცხვარეებმა თოფით მოჰკლეს სანდრო კენჭაძე და თვითონ გზას გაუდგნენ. თოთხმეტ კაცში პოლიციამ შეიპყრო ჯერ სულ 3 კაცი, რომელზედაც ეჭვი აქვთ. 10 მეცხვარე კი ჯერაც ვერ უპოვიათ.

◆ ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა ჯიბგირობა ტრამვაის ვაგონებსა და ვაგონების გასაჩერებელ ადგილებზე. მომეტებულ ნაწილად ამ ხელობას ახლა მცირეწლოვანი ბავშვები შესდგომიან. შაბათს ტფილისელ ვაჭარს გოზალოვს ვაგონში, სულ ამოაცალეს, რაც თან ფული ჰქონდა; აშავე დღეს ვაჭარს ქიშმიშევს ამოაცალეს ვაგონშივე ოქროს საათი. კვირას ერთი პატარა ქურდბაცაცა დაიჭირეს იმ დროს, როდესაც ჯიბეში ხელი ჩაუყო გვერდზე მჯდომსა.

◆ მეექვსე საპოლიციო უბნის პოლიციებმა თ. აინიკევმა, ზაბდინ-ალნაზოვლიმ და ა. ქორქაშვილმა სამსახურიდან გადადგომა ითხოვეს.

პრესსა

1 ოქტომბერს გამოვიდა პირველი ნომერი რუსულ გაზეთის „ვოზროჟდენიე“-სი. რედაქციას საჭიროდ არ დაუნახავს ამ პირველ ნომერში მოეთავსებინა საპროგრამო წერილი, რომელშიაც გამოთქმული უნდა ყოფილიყო მისი სოციალ-პოლიტიკური სიმბოლო სარწმუნოებისა და, მაშასადამე, ის მიმართულება, რომელსაც დაადგება ეს ახალი გაზეთი საზოგადოებრივ საკითხების გარკვევაში. მეთაურ წერილში რედაქცია ამბობს:

> ნუ ელით ჩვენგან პირველ მეთაურ წერილს, რომელშიაც ვრცლად განმარტებული იქნება მიმართულება ახალის გაზეთისა. რა სიპიროა ჩვეულებრივ ფრაზების შაბლონურად განმეორება? რა საჭიროა დაპირება და ზედმეტი განმარტება? გაზეთის მიმართულება ხომ გამოჩნდება ყოველ წერილში, ყოველ სტრიქონში, მასალის არჩევასა და ხასიათში, რაც გაზეთში იქნება მოთავსებული...

ამგვარად, რახან რედაქცია თავის მთლიან საზოგადოებრივ შეხედულებას არ აცხადებს გაზეთის პირველ ნომერში, ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე დასაბუთებული აზრი გამოვთქვათ გადაჭრით ამ გაზეთის პრინციპების შესახებ. საჭიროა ჯერ რამდენიმე ნომერი გამოვიდეს და გაზეთის აზრი სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე გამოაშკარავდეს და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ჩვენ და სხვასაც მასზე გარკვეული შეხედულება გამოვსთქვათ. ამიტომ ჩვენ რამდენსამე დღეს დავიცდით და როცა ცოტად თუ ბევრად საკმაო მასალა გვექნება თვალწინ გაზეთის დასახასიათებლად ჩვენს აზრს მაშინ გავუზიარებთ მკითხველებს.

ილუზია

იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადო-პოლიტიკურმა ცხოვრებამ განსაზღვრული გზა გასჭრა და ფართო კალაპოტში ჩადგა, სადაც ცხოვრებაში ყოველ ფრაქციას თავისუფალი მოქმედების უფლება და უნარი მოუპოვებია, იქ ყველა პოლიტიკური ფრაქციები თავისის განსაკუთრებულის ელფერით გამოდიან ასპარეზზე, ყოველს მათგანს თავისი თავისებურობა შეაქვს ცხოვრებაში, თავის ხასიათისა, ძლევამოსილობისა და დროს შესაფერობის მიხედვით. იქ ყოველი ფრაქცია არამც თუ გარკვევით და ნათლად არჩევს და იცნობს თავის მოპირდაპირე, მოქიშპე ძალას, მის მისწრაფებას ყოველივე კერძო შემთხვევაში, არამედ სავსებით გათვალისწინებული და აწონდაწონილი აქვს თავისი საკუთარი ძალღონეც და ყველა დანარჩენ ფრაქციების უნარიც. იქ ყოველივე ნათლად და გასაგებადაა გამოფენილი, სინამდვილეს სრულის სიგრძე-სიგანით დაჰყურებენ და ილუზიასაც ნაკლები ადგილი რჩება.

ამ თავისებურობის მეოხებით, იქ შესაძლებელი ხდება შეგნებულად შეკავშირება არამც თუ თანამოზიარე ფრაქციებისა, არამედ მოქიშპე ფრაქციებთანაც კი დროებით შეთანხმება, დროებით ხელიხელ ჩაბმა რომელიმე განსაზღვრული მიზნისათვის.

მაგრამ იქ, სადაც საზოგადოებრივი ძალნი გზას ახლად იკვლევენ, სადაც ამ ახალ ძალთა დახავსებულ ცრუ-მორწმუნეობა ერთ ერთმანეთში იხირებიან, ყველაფერი ირევა, იბნევა, ყველაფერი გაურკვეველია. გაურკვევლობა და სიბნელე წარმოჰშობს გაუგებრობას, რომელიმე ფრაქციის გარკვეულ სახეს აჩრდილებს, აბუნდოვნებს და ძალაუნებურად თავს იჩენს საზოგადოებრივი ილუზიები. უმთავრესი და თვალსაჩინო ასპარეზი ამ ილუზიებისა თავის სათავეს ჰპოვებს იმ მოვლენაში, რომ ჩვენ ყოველივე მოვლენას, ამბებს ზედმეტ მნიშვნელობას ვაძლევთ, ვაზვიადებთ კარგსაც და ავსაც. ამ ნიადაგზე ილუზიებს შესაფერი ნიადაგი აქვს ჩვენში, ეს კი მით უფრო მავნებელია, რაც უფრო მეტის რიხითა და უტიფრობით რომელიმე ფრაქცია თავის თავს წინ აყენებს ქვეყნის ერთად ერთ, უტყუარ მხსნელად.

ყოველივე ფრაქცია წარსულთან მჭიდროთაა დაკავშირებული და წარსულის ცხოვრებისაგანაა წარმოშობილი. მაგრამ ცხოვრების მიერ წარმოშობილი ფრაქცია, რა თქმა უნდა, ერთბაშად ვერ შეეწონება ანაზდეულად ამოჩქეფილ მოძრაობას და ნახტომის გაკეთებას სცდილობს, რომ უკან არ ჩამორჩეს, ცხოვრების სათავეში მდგომი, მაჩანჩალად არ გარდაიქცეს. ამისთანა შემთხვევაში მოხდება, რომ სიტყვა, რომელიც ერთს შემთხვევაში უმნიშვნელოა, ჰაერის ამოსუნთქვაა, მეორე შემთხვევაში, ნამდვილ, რეალურ საქმეს უთანასწორდება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც თქმა და ქმნა ერთი და იგივეა, ერთი და იგივე ძალა და გავლენა აქვს მას, ეჭვს გარეშეა, რომ სხვადასხვა ფრაქციების გაერთიანებული მოქმედება ძნელი წარმოსადგენია და ძნელი მოსახერხებელიც. არსებითად იგინი განცალკევებულნი დარჩებიან.

ამ დღეებში მომხდარი, მოსკოვის საერობო კრება თვალსაჩინო მაგალითია ამისი. ამ კრების მნიშვნელობას ზოგი ზედ-მეტად აღიდებს, ზოგი ზედ-მეტად ამცირებს. თვითონ კრებაც გადაჭარბებულ მნიშვნელობას აწერს თავის თავს, ეს კი იმისი მომასწავებელია, რომ მას გაურკვეველ ბურანში მოუყვია თავი...

რუსეთში, თავად-აზნაურობის პროტესტი ორგვარი იყო: პირველი, რომ გლეხების ჩამონაჭრები შეემცირებინა და მაშასადამე თვითონ მეტი, შეერჩინა, მეორე, სურდა გაბატონებული ბიუროკრატია აელაგმა თავისდა სასარგებლოდ, თავისდა გასაბატონებლად. პირველ მისწრაფებაში თავად-აზნაურობამ გაიმარჯვა, მეორეში კი დამარცხებული დარჩა, თუმცა ამ დამარცხებით ხალხს, უმრავლესობას არაფერი უზარალნია, არაფერი დაუკარგავს, ვინაიდან ხალხი ჰკარგავს მხოლოდ იმას, რაცა აქვს, ხალხს კი არავითარი უფლება-მოსილობა არა ჰქონდა და ვერც დაჰკარგავდა.

ასე იყო თუ ისე, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. მთელი ცვალებადობა პოლიტიკურის ცხოვრებისა ამ წოდების ზე-გავლენით ხდებოდა, მხოლოდ ამითი შეიძლება ავხსნათ, რომ საერობო მოღვაწეობამ ოპოზიციონური, თითქმის დემოკრატიული ელფერი მიიღო. ამითივე უნდა ავხსნათ ის „მამულიშვილური“ მისწრაფე-

ფელეტონი

ირლანდიის წარსულიდან.

კაცობრიობის ისტორია გამუდმებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, ბრძოლა არსებობისათვის ეროვნებათა შორის, ბრძოლა კლასთა შორის, ბრძოლა ხალხსა და გაბატონებულ, მმართველ წრეთა შორის.

მას შემდეგ, რაც მთავრობა გაბატონდა დამონებულ ხალხთა ცხოვრებაზე, მას შემდეგ, რაც ყოველის ქვეყნის მთავრობამ თავის ისტორიულ დროშაზე წააწერა: „მთავრობა — მთავრობისათვის“ და ამით ზურგი აქცია თავის პირდაპირს დანიშნულებას, მთელი მსოფლიო, ყოველი კუთხე, ყოველი კიდე ქვეყანისა თავბედს იწყევლის და გაცოფებულის ენერგიით ეხეთქება გააგზნებულ მმართველთა ძალმომრეობის ციხე-სიმაგრეებს, მის შემუსვრასა და განადგურებას ცდილობს. რაც უფრო პატარაა და რიცხვ-მცირე ქვეყანა, რაც უფრო სუსტი და გაუერთიანებელია კლასები, რაც უფრო ტეხნიკა-მრეწველობა-განათლებით უსუსურია რომელიმე მხარე, მით უფრო მეტის ურცხვობით და უდიერობით იჩაგრება იგი, მით უფრო ხშირად იჩითება ხოლმე უმწეო ხალხის სისხლით მმართველთა სპეტაკი მანტია. ირლანდია, ინგლისის მიერ საუკუნოებით ფეხ-ქვეშ გაქელილი ირლანდია, დღესაც მძიმე პოლიტიკურ უღელ-ქვეშ კვნესის, დღესაც ვერ დაუღწევია თავი ინგლისის ძლევამოსილ იმპერიალიზმისაგან... 1848 წელს, როდესაც ევროპაში ხალხოსნური, თავისუფლების მედგარი ხმა ჰქუხდა და გრიგალივით გრგვინავდა, როდესაც ახლად ფეხ-ადგმული კაპიტალიზმი და ფრთებ ასხმული წარმოება-მრეწველობის განვითარებული ტეხნიკა დახავსებულ ფეოდალურ წესწყობილებას ანდერძს უგებდა,—ეს თავისუფლების დიდებული შემოძახილი ჰანგი ირლანდიის კალთებსაც ეხეთქებოდა და დამონებულ, დაჩაგრულ გულის თქმას ანაზდეულად აზვირთებდა.

ირლანდიელთა გულში დაგუბებულ ბოღმას მათ გულშივე აგუბებდა ინგლისის პოლიტიკური რკინის სალტე, მაგრამ უმიწაწყლობა, სიმშილი, ათასი სარევოლუციო წრეები, ტომას დევისის წარმტაცი და მამულიშვილობის მოტრფიალე მგზნებარე პოემები, მიტჩელის დიდებული ენა-წყლიანობა და სმიტ ობრიენის სარევოლუციო მოწოდება ცეცხლზე წყალს ასხამდა. და აკი სალ-კლდეთა სამყარო ირლანდიამაც სცადა ინგლისის ბასრ კლანჭებიდან განთავისუფლება, აკი, 1848 წელს, ისიც ჩაერია საერთო სარევოლუციო ფერხულში და თავისუფლებისათვის მებრძოლი დროშა ააფრიალა!.. ფრიალო კლდეთა ძუძუ-ნაწოვმა „ნორჩმა ირლანდიამ“ ალის ფრად შეჰღება, ატლანტიის ოკეანეს ტალღებით ჩამონაბანი, პატარა სამშობლოს კიდეები... მაგრამ ირლანდიის ბედის ვარსკვლავმა უმუხთლა ინგლისის ძლიერმა, ულმობელმა ხელმა სათავეშივე ჩასწყვიტა „ნორჩ ირლანდიის“ თავისუფალი ხმა, მისი ბაირაღტარნი ანძაზე ჩამოჰკიდა, მებრძოლ ძალას, ხალხოსნური აღფრთოვანება გულშივე ჩაუკლა, „ნორჩ ირლანდიის“ რაზმები განაძევა, გააურთხო, სამშობლო კერას მოსწყვიტა. იგინი გახიზნენ ამერიკასა, ავსტრალიასა და სხვა კუთხეებში, სადაც ირლანდიის ახალშენებს მიატანეს... ჩაჰქრა, ჩაიფერფლა „ნორჩ ირლანდიის“ ცხოველ-მყოფელი აღორძინება, ირლანდიის სალ-კლდოვანი ბუმბერაზები ცრემლად აღნებოდნენ მოზავთებულ ოკეანის ტალღებს...

მაგრამ უძლეველია ხალხოსნური, სასიცოცხლო გამოფხიზლება, უკვდავია ხალხის გულში გაღვიძებული თავისუფლების სიყვარული, მისი ღვთაებრივი აღმაფრენა... ასე ადვილად როდი ჩაჰქრება ერთხელ გაღვივებული ნაპერწკალი, ასე ადვილად როდი ჩაინაცრება გათვითცნობიერებულ ხალხის რისხვით მოგუგუნე გულის წყრომა...

უთანასწორო ბრძოლაში დაქანცული, ირლანდიის ხალხი ისვენებდა, ძალ ღონეს იკრებდა, რომ განახლებულის ენერგიით შეჰხეთქებოდა დაუძინებელს მტერს და თავისი მონობის ჯაჭვები დაემსხვრია, თავისუფალ, დამოუკიდებელ ხალხად ქცეულიყო. სამშობლოდან გადახვეწილ ირლანდიელებს თვალზე ძილი არ ეკარებოდათ, დღე-მუდამ მამულის ხსოვნაში იყვნენ, მის დახსნას ეტრფოდნენ. ამერიკაში გახიზნული ჯონ ომეგონი, მიქელ დოგენი, ჯემს როჩი, ოლივერ ბაირონი და მრავალი სხვა მამულიშვილები დაუცხრომლად მუშაობდნენ, აწყობდნენ ახალ რაზმებს, წრეებს და ირლანდიაში დარჩენილ „ნორჩ ირლანდიის“ მედროშეებს ამხნევებდნენ, უზიარებდნენ თავის გულის ნადებსა და სარევოლუციო სამზადისის გეგმას. მათ ირლანდიაში ეგულებოდათ რკინის ხასიათის და სწორ-უპოვარი ორგანიზატორი სტივენსი და საერთო გადაწყვეტილებით მიჰმართეს მას—კვლავ გაეცოცხლებინა „ნორჩ ირლანდიის“ კერაზე ჩამქრალი ცეცხლი, კვლავ თავის დროშის ქვეშ გაერთიანებინა მებრძოლი ძალა ირლანდიისა. მასვე უგზავნიდნენ საჭირო ფულს (თვეში ას გირვანქა სტერლინგს) საქმის მოსაწყობად და მებრძოლი რაზმების შესადგენად. სტივენსი შეუდგა საქმეს, 1858 წელს მას უკვე გაწვრთნილი რაზმები ჰყავნდა, მაგრამ 1861 წელს უფრო მკვიდრ ნიადაგზე დააყენა თავისი ახალი ორგანიზაცია „ირლანდიის სარევოლუციო ძმობა“ და მთელ ირლანდიის დაბა-ქალაქებში მოჰფინა იგი. საინტერესო და სასტიკი კონსპერაცია (იდუმალობა) იყო გამეფებული სტივენსის ორგანიზაციაში. „წრის“ სათავეში იდგა „ცენტრი“ ანუ „ა“, რომელიც ირჩევდა ცხრა ხელქვეითს—„ბ“. თითოეულ „ბ“-ს ჰყავდა ცხრა თანაშემწე—„გ“, თითოეული „გ“ ირჩევდა ცხრა ხელქვეითს „დ“ და ასე, ამგვარად, მისდევდა დაუსრულებელი გამაერთებელი ძაფი. ყოველი წევრი ორგანიზაციისა მხოლოდ თავის მახლობელ უფროს, თუ ბელადს იცნობდა და მის განკარგულებას სასტიკად ემორჩილებოდა.

ირლანდიაში საქმის მოწყობის შემდეგ, სტივენსი და მისი მარჯვენა ხელი ო'ლირი ამერიკაში გაემგზავრნენ. იმხანად ამერიკაში, ირლანდიის ახალშენებში, რამდენიმე ასი ათასი ირლანდელი სცხოვრობდა. „ირლანდიის სარევოლუციო ძმობის“ რაზმებში ამერიკელ ახალგაზდა მუშების უმრავლესობა ჩაეწერა. ხოლო რაზმში „რიბომენებსა“ და ეგრედ წოდებულ „ჯლანოსნებს“ არ იკარებდნენ. საჭიროა განვმარტოთ, რომ ირლანდელებში როგორც სხვა ქვეყნებშიაც, ორგვარი მოძრაობა იყო, პირწმინდად პოლიტიკური და ეკონომიური, ან აგრარული. ეკონომიური ტერორისტები აგრარულ ნიადაგზე აღმოცენდნენ, მათი მისწრაფება უმთავრესად ირლანდიის ლენდლორდების (მსხვილ მემამულეთა) წინააღმდეგ იყო მიმართული. ასეთ მებრძოლ რაზმებში ტრიალებდნენ „რიბენმენები“ და „ჯლანოსნები“. სტივენის რაზმები, ეგრედ წოდებულ, ფენიებისაგან შესდგებოდა. ეს „ნორჩ ირლანდიის“ მიმსგავსებული პოლიტიკური შეთქმულობითი პარტია იყო. სტივენსის „ირლანდიის სარევოლუციო ძმობა“ ყოველ შემთხვევას, ყოველ თვალსაჩინო მოვლენას ცხოვრებაში პოლიტიკურის ელფერით ჰფერავდა და თავის თანამემამულეთა გულისხმიერობას ყოველთვის ინგლისის წინააღმდეგ ამხედრებდა. მალე ირლანდიის „ძმობასა“ და „ჯლანოსნებს საუცხოვო შემთხვევა მიეცათ, რომ მთელი ირლანდია ფეხზე დაეყენებინათ. ეს მოხდა 1861 წ. 10 ნოემბერს.

ამ დღეს ასაფლავებდნენ მაკ-მენსს. მაკ-მენსი 1848 წ. რევოლუციის მსხვერპლი იყო. იგი სხვა მებრძოლებთან ერთად ინგლისის მთავრობამ კატორღაში გაგზავნა, საიდანაც მაკ-მენსი გაიქცა და სან-ფრანცისკოში (ამერიკაში) შეაფარა თავი.

მაკმენსის გარდაცვალების შემდეგ, ამერიკის „სარევოლუციო ძმობამ“ დიდი მანიფესტაციებით ჩამოატარა მისი გვამი ამერიკის ქალაქებში, სადაც ირლანდიის ახალშენები იყო და მერე ირლანდიაში გამოისტუმრა. მაკ-მენსი დუბლინში მოასვენეს. ეს დღე წაუშლელად დარჩება ირლანდიის ცხოვრებაში. მთელი ქალაქი ძაძებში იყო, ქუჩებში ხალხის მოძრაობას ადამიანი ფეხს ვერ აუქცევდა. აქ, ირლანდიის დედაქალაქში, თავი მოეყარათ სამშობლოს ყველა კუთხიდან „ფენიებისა“, „ჯლანოსნებისა“, „ნორჩ ირლანდიისა“ და სხვა წარმომადგენელთ. აქვე იყო მათი საომრად გაწყობილი რაზმები. მხოლოდ სტივენსის დროშის ქვეშ 50 ათას აბჯარ-ასხმულ მეომარს მოეყარა თავი, დასაფლავების პროცესიის წესრიგს ესენი აძლევდნენ. მემატიანეთა მოწმობით, საერთო რიცხვი მანიფესტანტებისა ორას ათასს აღემატებოდა. დიდებული იყო მსვლელობა იგი: დინჯი, საგულისხმიერო: ერთი აზრი, ერთი გრძნობა აღაფრენდა ყველას—ეს გამძვინვარებული, თავშეუკავებელი დუმილი იყო... იგი ელოდა უმნიშვნელო საბაბს, რომ ერთბაშად პირი ექნა გულის წყრომას და მთელი ეს ხალხი წარბშეუხრელად მოსისხლე მტერს ზედ შეჰკვდომოდა... მაგრამ ალღოიანი და შორსმჭვრეტი პოლიცია არსად სჩანდა, იგი ბნელ სოროებში მიმალულიყო. პროცესია უცებ შეჩერდა, დროშები დაეფრიალდა და დაიხარა, ხალხმა მოწიწებით ქუდები მოიხადა: ამ ადგილს, რობერ ემმეტის წამების ადგილს, სალამს აძლევდა ხალხი. ემმეტიც მამულისთვის თავდადებული იყო... ყველას ყურებში შურისძიების ხმა ჩასჩურჩულებდა.

დაბინდდა. ღამის წყვდიადი სამგლოვიარო ძაძასავით ჩამოაწვა მთელ ქალაქს. დიდებული იდუმალობა გამეფებულიყო, პროცესიამ კელაპტრები გააჩაღა და სასაფლაოსაც მიატანეს. სამარისებური დუმილი მოეფინა სასაფლაოს მიდამოსაც..

— „ნუ თუ ირლანდიამ გულში უნდა ჩაიკლას თავისუფლების ტრფიალი?!. ნუ თუ ეგოდენი მებრძოლი ძალა მტარვალის სამსხვერპლოზე უნდა ჩაიფერფლოს?! ნუ თუ სიკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. რომელმაც სათავად-აზნაურო ბანკების დაარსება მოჰყვა, სადაც ხალხის უკანასკნელი გროშები იყრიდა თავს. ამას მოჰყვა დიამბეგის აღვირ-ახსნილ თანამდებობის განწესება, რომელიც ურცხვად, უტიფრად ბატონობდა ,,განთავისუფლებულ'' ნაყმევებზე.

ცხოვრების განვითარებამ, ბიუროკრატიის გაძლიერებამ და საბრძოლველ ასპარეზის გართულებამ იძულებულ ჰყო ეს წოდება, უფრო ენერგიულად, უფრო ფხიანად გაჰკლავებოდა მეტოქეებს და მეტი სასიცოცხლო უნარი გამოეჩინა. ამისთვის მათი ძალღონე გაერთიანდა, შეჯგუფდა და თავისისტორიულ გავლენის შესარჩენად შეეცადა კვლავ სათავეში მოჰქცეოდა საზოგადოებრივს მისწრაფებას. ამისათვის სხვა ფრაქციებთან ერთად თავად-აზნაურობაც უფრო გაბედვით და უფრო თამამად იბრძოდა გაბატონების მოსაპოვებლად. მაგრამ საზოგადოებრივ მოძრაობას სათავეში საყოფნად არ კმაროდა მარტოოდენ სურვილი და გულისთქმა, ამისათვის ცხოვრება უქიმუნჯებდა ამ წოდებას და თავისდაუნებურად უფრო მეტს და ფხიან პროტესტს აცხადებინებდა. მაგრამ დადგა ახალი ხანა, სახელმწიფოს ცხოვრება აზვირთდა, უჩინარი ძალნი თვალსაჩინონი გახდნენ, მეოთხე წოდებამ თავისი ძლიერი და ხავთიანი „მე“ წამოაყენა და... აქ კი ჩაიჩრდილა, ფერი შეუკრთა თავად-აზნაურთა „ოპოზიციონობას“, მის მონოპოლიის საძირკველი გამოეცალა, ნახტომი შეეშალა თავად-აზნაურობას, საზოგადოებრივმა ალღომ უმტყუნა მას. ამას ნათლად ჰმოწმობს ერობის კრება, სადაც სხვათა შორის ნათქვამი იყო: „საერობო მოღვაწეობამ დიდმნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა საზოგადოებაში, მისი სახელი ავტორიტეტად გახდა, ამისათვის ეჭვს გარეშეა, რომ მის მიერ წამოყენებული აზრი მომავალ სახელმწიფო სათათბიროში საზოგადოებრივ მისწრაფების გამომხატველი იქნება და მომავალშიაც, თუ თანდათანობა გამოვიჩინეთ, საზოგადოებრივ მისწრაფების სათავეში დავრჩებით“. [illegible], აქ კი ცოტა ანგარიში შეეშალა ერობას და მის წარმომადგენელთ... თუ რაიმე მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა წინად ერობათა წარმომადგენლობას, მისთვის კი არა, რომ იგინი წამოაყენებდნენ რომელსამე აზრს, არამედ მისთვის, რომ ამ აზრის წამოყენება იმ დროს იგივე საქმე იყო, მაშინ თქმა ქმნას უდრიდა. დღეს კი, როდესაც ასე ძალუმად ამოძრავდა ყოველი კლასი, წოდება თუ ფრაქცია, როდესაც სიტყვით კი არა ფაქტიურად, ნამდვილად იცვლება არსებული წეს-წყობილება, როდესაც მარტოოდენ სიტყვა უბრალო უმნიშვნელო ჰაერის ამონასუნთქია, დღეს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, რასაც ერობის წარმომადგენელნი ილაპარაკებენ სახელმწიფო სათათბიროში და მით უმეტეს რა აზრი უნდა ჰქონდეს ერობის ასეთს მისსიას?!. არავითარი და ამისათვისაც ერობათა ასეთი იმედიანი გულუბრყვილობა მარტოოდენ ილუზიაა, ცხოვრების შეუგნებლობა და ბუნდოვანობა... ნუ თუ დრო არ არის ყველამ თავისი ადგილი იცნოს ცხოვრებაში?!.

ნ ო.

თეატრი და ხელოვნება

ოპერა. „რიგოლეტო“-მ სასურველი შთაბეჭდილება ვერ იქონია მსმენელებზედ. ამის მიზეზი თითონ რიგოლეტო იყო ბ-ნ სოკოლსკის სახედ. ბ-ნ სოკოლსკის, ეჭვ-გარეშეა, კარგი ხმა აქვს, განსაკუთრებით ხმა-შეკიდებულ ჰანგებისთვის, მაგრამ ამასთანავე ისეთი მიგრეხ-მოგრეხით გამოძახის ხოლმე სიტყვებს და თითონაც ისე იგრიხ-იზნიქება სცენაზედ, უაზროდ მიმორბის აქეთ-იქით, რომ მომქმედ პირის ვინაობას ადამიანის იერს უკარგავს. როგორათაც ლაპარაკშია საჭირო მარტივი და სადა დეკლამაცია—ასევეა სიმღერაში. ბ-ნ სოკოლსკის მიერ გამოთქმული სიტყვა,—სიმღერით რასაკვირველია, გეგონებათ ჰაერში გველივით მიხვევ-მოხვეულია. ამისთანა საშუალებით მომღერალი ვერ აღწევს საწადელს, რაც შეიძლება მკაფიოდ გამოხატოს გმირის სულის კვეთება.

ქ-ნი პროკუდინისა კარგი იყო ჯილდას როლში იქ, სადაც სადა სასიმღეროები ჰქონდა, სამაგიეროდ, საკრინმანჭურო ჰანგებში საკმაოდ მოიქვეითებდა, მაგალითად, მეორე მოქმედების ბოლო სცენაში, როცა ჰერცოგის შესახებ ოცნებობს.

ბ-ნ კოლოტოვს სასიამოვნო ხმა აქვს, რომელსაც მაღალ ფარდებში საკმარისის ძლიერებით აჟღერებს; ამასთანავე მომღერალს ხმა-მიკმენდილი სიმღერა ძალიან ეხერხება, მაგრამ საერთო იერი კი ხმისა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზედ, თითქოს ვაჟკაცის ხმა კი არ გესმოდეს, არამედ არა-ჰასაკოვან ყრმისა, რომელი ხმაც ჯერ არ გამორკვეულა, არ განვითარებულა. ამის გარდა მომღერალი ანსამბლებში თითქმის არ ისმოდა, მაგალითად მე-4 მოქმედების შესანიშნავ კვარტეტში.

ბ-ნი ფალიაშვილი ხელოვნურად გაუძღვა ორკესტრს, რამდენადაც მასალას აძლევდა ვერდის ამ ოპერაში სადაკილოიანი და შაბლონური საორკესტრო ჰანგთა-წყობა. მისი მადლობელნი უნდა იყვნენ ბ-ნი საკოლსკი და ქ-ნი პროკუდინა, რომ უკილოვოდ დაწყობილმა მეორე მოქმედების დუეტმა უმეტესობისათვის შეუმჩნევლად გაიარა.

შაბათს ბ-ნ გამბას მონაწილეობით წარმოადგინეს მეიერბერის ოპერა „აფრიკელი ქალი“. მეიერბერის სხვა ნაწარმოებთან შედარებით და განსაკუთრებით კი „ჰუგენოტებთან“—ეს ოპერა ძალიან სუსტია. ჯერ ერთი, შინაარსით უცნაურზედ-უცნაურია და ოდნავადაც არ შეესაბამება ვასკო-დე-გამას თავ-გადასავალს, მაშინ როდესაც რიგოლეტოს შემდგენელს ეს შესანიშნავი მეზღვაური გამოჰყავს ოპერაში უმთავრეს გმირად. მეორეც ისა, რომ არც მუსიკაა სათანადო და გარემოებათა შესაფერი. მაგალითად, მთელს ოპერაში ვერსად ვერ შეხვდებით ისეთ ჰანგებს, რომელსაც აღმოსავლეთის ხალხის სული და იერი სდევდეს. უმთავრესად კი მოქმედება სწარმოებს ინდიელთა ველურებ შორის. ადგილ-ადგილ, რაღა თქმა უნდა, ოპერაში მოჩანს მეიგრამეერის დიადი შემოქმედობა. მთლად ნელიუსკოს პარტია ამ დიადის ნიჭით არის აღბეჭდილი. ასევეა: პირველ მოქმედების საანსამბლო ჰანგი, რომელიც ლეიტ-მოტივის სახედ თითქმის ყოველგან გაისმის ოპერაში; ნანა, რომელსაც სელიკა უმღერს მძინარე ვასკოს.

ამ წარმოდგენაში ეს ნანა გამოტოვებული იყო, ქ-ნის დუროვსკაიას ავადმყოფობის გამო. ბ-ნ დონსკოის დასმა ეს ოპერა კარგად წარმოადგინა; ოპერა მშვენიერადაა მოწყობილი დეკორაციებით და ტანისამოსებით. ბ-ნი გამბა ჩვეულებისამებრ მოსაწონი იყო. ხმა-შეკიდებულ ჰანგებში მისი ხმა მკვეთრად გაისმოდა. მხოლოდ იქ, სადაც ხმა-მიბნედილი სიმღერა იყო საჭირო, მომღერალს აკლდა გამომეტყველება სიტკბოებისა და გრძნობისა. ქ-ნი დუბროვსკაია, ავად რომ არა ყოფილიყო, დიდ შთაბეჭდილებას იქონიებდა მსმენლებზედ, სელიკას პარტია ყოვლად შესაფერია მის ხმისა და გრძობათა გადმოცემის უნარისა.

ბ-ნ სოკოლსკის ძალიან უყვარს მაღალ-ჰანგოვანი სიმღერა. ნელიუსკოს პარტია სწორედ ამგვარია. მიხვრა-მოხვრითაც მეტის-მეტად ეხერხება ველურ ადამიანთა გაპიროვნება სცენაზედ. მაგრამ მაინც ისე გადაჭარბებულად დახტოდა სცენაზედ, რომ ველურ ადამიანსაც განცვიფრებაში მოიყვანდა. საზოგადოებას იგი ძალიან მოეწონა.

ორკესტრს ხელმძღვანელობდა ბ-ნი შტეინბერგი თავისებურის ნიჭით და მტკიცე ხელით.

ი.

რუსეთი

ამ დღეებში **გლეხთა კავშირის წარმომადგენელთა კრება** დასრულდა. კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: გლეხთა კავშირის ყველა წევრის მაგივრად თავის გულწრფელი სალამი უძღვნას მუშებს, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვის გლეხთა შორის შეგნებისა და თვითგამორკვევის გავრცელებაში. კრების ბოლოს, წარმომადგენლებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ყველა იმ მებრძოლთა ხსოვნას, რომელნიც რუსეთის განთავისუფლებისთვის ატეხილ ბრძოლაში დაიღუპნენ. ამჟამად გლეხთა კავშირს 200 ათასამდე წევრი ჰყავს (ნ. ჟ.).

◆ უმაღლეს დაწესებულებაში **შინაგან საქმეთა რეორგანიზაციის ახალი პროექტი** წარადგინეს. ამ პროექტით საპოლიციო საქმე შინგან საქმეთა სამინისტროს უნდა ჩამოერთვას და ახლად დაარსებულ პოლიციის სამინისტროს გადაეცეს. პოლიციის მინისტრს ორი თანაშემწე ეყოლება: პოლიციის გამგე და ჟანდარმერიის გამგე. პროექტში აღნიშნულია, რომ ამ ჟამად პოლიციისა და ჟანდარმერიის მოქმედება ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რის გამო მათ შორის შური და მტრობა ჩამოვარდა. ამ მოვლენის ასაცილებლად პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნია პოლიციისა და ჟანდარმერიის მოქმედებისა და უფლებების გათანასწორება და გაერთიანება. პოლიციის მინისტრსაც ყველაფერში ისეთივე უფლებანი მიეცემა, როგორიც სხვა მინისტრებს ექნებათ. მინისტრად ასახელებენ პეტერბურგის გენ.-გუბერნატორს ტრეპოვსა და გრ. იგნატიევს (ნ. ჟ.).

◆ 24 ოქტომბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატა შემდეგ **სოციალ-დემოკრატების საქმეს** განიხილავს: ტატოშიკინს, მოროზევიჩს, სტუდენტს ნაგელს, ვდოვკინს, ლოვცოვას და კაზაკს მონახინს ბრალს სდებენ, რომ მათ პეტერბურგში საიდუმლო სტამბა გაიჩინეს და იქ ისეთ პროკლამაციებს ბეჭდავდნენ, რომელნიც ხალხს არსებულ წესწყობილების დასანგრევად მოუწოდებდნენ (ნ. ჟ.).

◆ პლევეს დროს ვინმე დენისოვი ადმინისტრაციამ ციმბირში გადაასახლა იმის გამო, რომ დენისოვმა სარატოვში **პროკლამაციები გააკრა**; ამ პროკლამაციებში ნათქვამი იყო, რომ დაუყოვნებლივ საჭიროა საერო წარმომადგენელთა მოწვევაო. დენისოვი ციმბირიდან გამოიქცა, მაგრამ რუსეთში ისევ დაიჭირეს და 3 წლით კატორღა გადაუწყვიტეს. ეს საქმე ხელმეორედ გაირჩა პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში. დენისოვმა და იმისმა ვექილმა გოლდშტეინმა ვრცელი და ძლიერი სიტყვები წარმოსთქვეს და ამტკიცებდნენ, რომ ამჟამად აგიტაცია საერო წარმომადგენელთა მოწვევისთვის დანაშაული აღარ არის და ამიტომ ბრალდებულიც უნდა გაამართლოთო. პალატამ საოლქო სასამართლოს დადგენილება დაამტკიცა და დაადგინა, ხელმწიფის წინაშე იშუამდგომლოს, რომ დენისოვს სასჯელი ეპატიოს (ნ. ჟ.).

◆ პოლონეთიდან სახელმწიფო სათათბიროში **დეპუტატებად**, სხვათა შორის, შემდეგ პირებს ასახელებენ: გრაფს გავ. ზამოისკის, გრ. ადამ კრასინსკის (პოლ. ჟურნალის რედაქტორია), ვექილს ლეშჩინსკის, ვექილს პეპლოვსკის, ბანკირს როცვანდს, ბანკირს პერეცს, პუბლიცისტს კემპნერს, პროფესორს აშკინაზის, პროფ. ნაცსონსა და ჟურნალ „იზრაელიტ“-ის რედაქტორს სოკოლოვს. უკანასკნელ სამ პირს ებრაელები ასახლებენ. გარდა ამისა, პოლონეთის მწერალს ჰენრიხ სენკევიჩსაც უნდა ყუთი დაიდგას (ნ.).

◆ 27 სექტემბერს კიშინოვში **მოჰკლეს** ბოქაული ოსოვსკი, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებდა ხოლმე ებრაელების დარბევაში (ნ.).

კორესპონდენცია

ქ. სიღნაღი. სექტემბრის 24-ს სიღნაღის სამსჯავროს ვრცელი დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებელი ხალხით. ამ დღეს ირჩეოდა საქმე სიღნაღის სამსჯავროს ქალაქის ი. ნასყიდაშვილისა და დურგალ გ. ყაზაზიშვილის ქალისა. საქმეს არჩევდა საოლქო სასამართლო.

საქმის გარემოება ასეთია: წარსულ იანვარში ბ-ნი ნასყიდაშვილი დიდის ამბით დაინიშნა სიღნაღში მცხოვრებ დურგალ გ. ყაზაზიშვილის ქალზე (16. წ.). ნიშნობის დამსვე და შემდეგაც შეისრულა თავის პირუტყული წადილი და მერე ქალს გაანება თავი: ჩემი შესაფერი არ არისო.

ბევრი ცდა და გარჯა დასჭირდა შუამავალ ხალხს მაგრამ, არ იქნა და ვერ მოარიგეს, მდაბიურად რომ ტყვიან ნასყიდაშვილმა „შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი“. ქალის დედმამამ, რომ ვეღარა გააწყო-რა, სასამართლოს მიჰმართა.

მართლ-მსაჯულებამ დამნაშავედ იცნო ბ-ნი ივ. ნასყიდაშვილი და მიუსაჯა ოთხი თვე ციხეში და 200 მან. ფული. თავმჯდომარემ წინადადება მისცა, თუ ვინიცობაა მორიგდები და ჯვარს დაიწერ, სანამ გადაწყვეტილება ძალაში შევა, სასჯელი გეპატიებაო.

საზოგადოებაში უკმაყოფილება ისმოდა, ერთმანეთს [illegible]სჩიოდნენ „ეს ბრალდება ძლიერ ცოტაა, ვინაიდან ამისთანა უსინდისობა, როგორიც ნასყიდაშვილმა ჩაიდინა, ძლიერ იშვიათიაო“.

ერთ ამისთანა საქმის ნახვას კიდევ მოელის სიღნაღის საზოგადოება, ამის მომქმედიც გახლავთ აქაური მოქალაქე ზ. ი. ზურიევი და ვნახოთ ეს ვაჟბატონი როგორღა დაისჯება. საქმე ჯერ გამოძიებაშია.

ამ თვის 4 და 5-ში გაიფიცა მთელი ქალაქი. ორი დღე პურისა, ხორცისა და სხვა სანოვაგის შოვნა არ იყო. მე-5 დღეს პოლიციამ ძალით დაკლა ჯ. არუთინოვის ძროხა და დაურიგა ჩინოვნიკთ ძროხის ხორცსა და ფულს პატრონი ახლოც არ მიუდგა. წინა დღესვე შეეტყო პოლიციას, რომ გაფიცვა უნდა ეყოსო, და დედოფლის წყაროდან მოიწვია 120 დრაგუნი. ჯარი, ახლაც სიღნაღშია.

აქაურ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ ისევ გაიფიცნენ და დღესაც სკოლა მიტოვებულია. მიზეზი? მიზეზი მოთხოვნილების აუსრულებლობაა.

სიღნაღის დედათა ოთხ-კლასიან სკოლაში წელს სწავლა დაამთავრა 12-მა ქალმა. ამათში სამი ქართველია, 9 სომეხი.

როგორც მოგეხსენებათ, სომხის ერს ნება მიეცა იქონიონ თავიანთი სკოლები და, აი, ამ მიზეზით „დიანოზოვის“ სკოლაში მოსწავლე ქართველებს გამოუცხადეს, ,,დიანოზოვის“ სკოლა სომხებს ეკუთვნის და არა ქართველებსა, გასწით, სადაც გინდათ, იქ ისწავლეთო, და თვალ-ცრემლიანი ბავშვები სკოლიდან გამოისტუმრეს.

ყველა ბუზი ბზესთან და ფუტკართან კი ყველა ტყუისო,—სწორედ ჩვენ სიღნაღის სამმართველოსა და მამებზე ითქმის. ეს დალოცვილები გაკეთებით ხომ არას აკეთებენ, თურმე უცენზო ხმოსანსაც ინახვენ. ერთხელ (პირველ არჩევნების დროს, როცა აქ თვითმართველობა შემოიღეს) ივანე შავლიაშვილი გაიპონტრიაშეს დარბაზიდან და ყურების ნებაც არ მისცეს, ხმა არა გაქვსო, თუმცა სიღნაღში სახლ-კარი აქვს. ახლა კი უსახლ-კარო კაცს ხმოსნობაც მისცეს, მამასახლისის თანაშემწეობაც, 600 მ. ჯამაგირით და დასასრულ მამასახლისადაც ამოირჩიეს და წელიწადში 1000 მანათი ჯამაგირი დაუნიშნეს. წელს მამასახლისად ამოირჩიეს გ. ი. ენიკოლოფოვი. სხვაფრივ ჩვენ ამ კაცზე ჯერ-ჯერობით კარგის მეტი არა გვეთქმის-რა.

ხმოსანთა შორის ურევია ერთი სწორე მთქმელი და შეფერებული კაცი. აი, ამ კაცმა განაცხადა, რა საჭიროა მივცეთ წელიწადში ჯამაგირად 1000 მ.ნ., როცა კაცი 600 მ. სჯერდებაო. ამავე კაცმა აღძრა საჩივარი წინაშე გუბერნატორისა, რომელმაც დაარღვია ზემოხსენებული არჩევანი და შეეკითხა: რა მიზეზია, რომ ეგ უცენზო კაცი ემსახურება ქალაქსაო. ამ საგანზე ამას წინად თვითმართველობის დარბაზში კრება იყო, კრებამ ხმოსნობა ისევ ენიკოლოფოვს მისცა, მხოლოდ არ იცის, დაამტკიცებს ბ-ნი გუბერნატორი თუ არა.

ყოველის მხრით და ყოველისფრით უკან ჩამორჩენილი ჩვენი ქალაქი სიღნაღი საჭიროებდა ბიბლიოთეკა სამკითხველოს. მაგრამ დღემდე მოთავეც არა გვყავდა, დღეს კი გამოგვიჩნდა მოთავე და პატრონი საჭირო დაწესებულებისა, რომელმაც არ დაიშურა დრო, გარჯა და შრომა და გამოითხოვა ნება-რთვა სადაც ჯერ იყო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისა. ეს გახლავთ სიღნაღში ცნობილი მ. ა. ნასიძე. სამკითხველო აკურთხეს ამ თვის 11-ს. ამავე თვის 18-ში მოხდა წევრთა კრება, (ჯერ-ჯერობით 87 წევრია) წევრთა კრებამ ამოირჩია ბიბლიოთეკის გამგეებად 10 კაცი. ამ ათმა კაცმა უნდა განაგოს და წარმატების გზაზე დააყენოს ბიბლიოთეკის საქმე. მხოლოდ, მ. ა. ნასიძე უნდა იყოს თავმდები და და პასუხის-მგებელი წინაშე მთავრობისა და საზოგადოებისა.

ბიბლიოთეკას ფართო პროგრამმა აქვს და რაც კი ცენზურაში გამოვლილი წიგნი მოიპოვება, ბიბლიოთეკას ნება აქვს იქონიოს. საწევრო გადასახადი თვეში ათი შაურია, ყოველდღიური გადასახადი მკითხველებისაგან კი—1 კაპ. ქალებს თვიურად გადახდებათ 25 კ., მოსწავლეებს 10 კ.

სამკითხველოს მისდის ქართული „ივერია“ და „ცნობის-ფურცელი“ სომხური „მშაკი“ რუსული „ნოვოე ობოზ.“, „ტიფ. ლისტ“, „ზაქ.“, „სინ ოტეჩესტვა“, „რუს-სლოვო“, და „ვოზროჟდენიე“, სხვადასხვა წიგნები აქვს, 162 ც. ღირებული 57 მ. 28 კპ. წიგნები შემოსწირეს მ. ა. ნასიძემ 20 ცალი, ი. ზაზაშვილმა 25 ც. ა. ბადაშვილმა 11 ც. ი. თხილაშვილმა 6 ც., ს. გომელაურმა 3 ც. ნ. მოსესოვმა 8 ც. ი. მანჯაველიძემ 2 ც. ტერ-სტეფანოვმა 4 ც. ტერ-გრიგორიანცმა 21 ც. ა. სერებრიაკოვმა 5 ც. ა. ფარემუოვმა 1 ც. ს. გ. ავამოვმა 47 ც. გ. ავაქოვმა 2 ც. გომელაურმა 1 ც. პ. ჯოხაძემ 3 ც. ზ. მენთეშაშვილმა 3 ც. გარდა ამათი შეპირდნენ კიდევ შემოწირულებას მრავალნი სხვებიც.

არ შეგვიძლიან დავსტოვოთ უყურადღებოდ, შემდეგი გარემოება მ. ა. ნასიძემ 1900 წ. სამკითხველოსთვის მოაგროვა 20 მ. ბ. ს. ხ. ყვანიაშ შესწირა 25 მ. ამას გარდა რამდენიმე მანათიც წარმოდგენიდან გადარჩენილი იყო, სულ 5 თუმანი ეს ფული მიაბარეს ერთ პატივ-ცემულ პირს, იმ პირობით, რომ როდესაც ედირსებოდა ქალაქს ბიბლიოთეკა ეს ზემოხსენებული ფული უნდა გადაეცა სამკითხველო ბიბლიოთეკისთვის, მაგრამ ჯერ არსად სჩანს.

რაზმაძე.

ქალაქი თელავი, 29 ენკენისთვე. გაიფიცნენ სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფენი და შემდეგი მოთხოვნილებანი წარადგინეს: საყოველთაო, უფასო სწავლება, პროგრამის გაფართოება სასწავლებელში, ისე რომ გამოსულებმა შეეძლოთ გადასვლა საშუალო სასწავლებელში, ეროვნულ და სარწმუნოებრივ ჩვეულებათა მოსპობა, გადასასვლელ ეგზამენების მოსპობა, თავისუფლად საარული თეატრებში და კრებებზე, თავაზიანი მოპყრობა მასწავლებლებისაგან, ბიბლიოთეკის გაფართოება და რუსულ-ქართულ და სომხურ ჟ.-გაზეთების გამოწერა, სკოლასთან დაარსდეს სამკურნალო და სახელოსნო განყოფილებანი; სამხანაგო სასამართლოს დაარსება, სასწავლებელს გარედ ზედამხედველობის მოსპობა, ქართულ და სომხურ ენების სავალდებულო სწავლება, საღვთო წერილის სწავლება სურვილისამებრ და მასწავლებლად კიდევ იყოს ერის კაცი, საეკლესიო გალობის მოსპობა და გიმნასტიკის წესიერად შესწავლა.

ინ—ო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

3 ოქტომბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს პირველი კრება დანიშნულია 14 იანვრისთვის.—საგანგებო კომისიის ყველა წევრებს და აგრეთვე, ყველა მინისტრებსა და მათ ამხანაგებს 29 სექტემბერს გაეგზავნათ მინისტრების მოქმედებათა შეერთების პროექტი.

26 სექტემბერს კობეკოს კომისიამ განიხილა პრესის შესახებ დასახელ წესების პროექტი. ამ პროექტით განზრახვა აქვთ, სამართალში მისცენ თვით თხზულება და არა მათი დამწერნი.

„ბირჟევია ვედომოსტის“ სიტყვით, აღძრულია საკითხი განქორწინების წესების გაადვილების შესახებ.

პეტერბურგის გაზეთებმა თავად ტრუბეცკოის გრძნობიერი წერილები უძღვნეს: მხოლოდ ამ გვარ მოღვაწეთ შეეძლოთ რუსეთი გაჭირებულ მდგომარეობიდან გამოეყვანათ და პროგრესის გზაზე დაეყენებინათ.

ბულიგინის-მიერ შემუშავებულმა სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების წესების პროექტმა კავკასიისთვის გრაფ სოლსკის საგანგებო კომისიაში უთანხმოება გამოიწვია. დაადგინეს, ხელ-

---

დილი, სამარცხვინო სიკვდილი უნდა დასტრიალებდეს საყვარელს ირლანდიას?!“—გაისმა ამ მყუდროებაში მჭექარი, გრძნობით შეძრწოლებული ხმა და ყველას გულში ჩასწვდა, სიბრაზით გავსებული ფიალა ბოლომდისავით ყელში მოაწვა, თავშეკავებულ რისხვის ცრემლები თვალებზე გადმოეკიდათ... „არა!.. ირლანდია არ მომკვდარა!.. ირლანდიას არ უღალატნია თავის ისტორიულ დანიშნულებისათვის!.. თქვენს გაფოლადებულ გულში ჯერ არ ჩამქრალა იმედი ხსნისა!.. ირლანდია მტკიცედ ასრულებს დიდებულ მაკ-მენსის და სხვათა მებრძოლთა ანდერძს. ბრძოლა!.. სიცოცხლის მომნიჭებელი!.. ,,ბრძოლა''!—ბრძოლა!..—იგრიალა ასი ათასმა გულმა, იარაღმა ჟღრიალი დაიწყო, მიმკვდარებულ არე-მარეს თავისუფლების ამომძახილი ჯადოსნური ჰანგად მოედო... იმ დღეს, იმ საღამოს, იმ წუთს ირლანდია თავისუფალი იყო. მაგრამ მხოლოდ იმ ერთ დღეს... მთავრობამ ამ დღეს მებადის ყური გამოიბა, თვალებზე უვიცობის პირბადე გადაიფინა... 10 ნოემბერმა უსისხლოდ ჩაიარა.

ინგლისის მთავრობა ირლანდიის დასაძაბუნებლად უტყუარ პოლიტიკას დაადგა: ,,დააქუცმაცე და მერე სძლიე''!.. ამ მხრივ, მსოფლიოს ქუდბედად დაყოლილი სამღვდელოება ინგლისის მთავრობამაც კარგად გამოიყენა. უპირველესად ყოვლისა კათოლიკეთა ეკლესია ანგლიკანებისას გაუთანასწორა და ამით ირლანდიის კლერიკალთა გული მოიგო. თუ წინად სამღვდელოება საერთო, ხალხოსნურ, ფერხულში ჩარეული იყო, ახლა იგი აუმხედრდა მას, მთავრობის მარჯვენა ხელი გახდა, კუჭის მრწამსი წაიმძღვარა და ხალხის ინტერესებს ზურგი შეაქცია. რაც სამღვდელოებას ბოროტება და მზაკვრობა ჩაუდენია, რაც მისის ენატანიაობითა და ანგარებით მთელს მსოფლიოზე სისხლი დანთხეულა, უსაზღვრო, საშინელ ოკეანეს შეედრება...

ირლანდიის სამღვდელოებამაც ქვეყნის წინაშე ისტორიული მისსია პირნათლად შეასრულა. იგი 1848 წელსაც ალისფრად იღებავდა ხელებს და, ახლაც, მოსისხლე მთავრობის საჯალათო რაზმებში ჩადგა. სამღვდელოება უწყალოდ დრღნიდა ირლანდიის ხალხოსნურ, გამაადამიანებელ გულისთქმას... ირლანდიის ეკლესიის სამკვეთლოებზე. მაბეზღრობა, ენატანიობა და, ჯაშუშობა გამეფდა. არქიეპისკოპოსი კელლენი აღსარების დროს, პირდაპირ განუცხადებდა ხოლმე ,,ფენიებს'', ,,განკიცხული, განრისხული'' ხართო ეს მთავრობის კონდუიტებშიაც რაღაც მანქანებით აღიბეჭდებოდა ხოლმე და ,,დამნაშავეს'' წამება, ან, სარჩობელა, შანთი, ან გაძევება ელოდა. ინგლისის მთავრობას მაბეზღარი გაზეთებიცა ჰქონდა, რომელსაც სუფსიდიას აძლევდა (თუმცა განა მარტო ინგლისს?). ისინი ვითომ გულუბრყვილოდ ასწერდნენ ხოლმე რომელიმე მოვლენას ფენიების მოძრაობისას, და მოთავეთა გვარებს მხვილის ასოებით ჰბეჭდავდნენ: „პატივსა სცემდნენ“!..

ამისდა მიუხედავად სტივენტის რაზმები დღითიდღე იზრდებოდა, მით უმეტეს რომ მეომრებს კომიტეტისაგან რიგიანი ჯამაგირები ჰქონდათ დანიშნული. 1863 წელს, 28 ნოემბერს სტივენსმა დააარსა ახალი გაზეთი „ირლანდიის ხალხი“ და მისი ხელმძღვანელობა ო'ლირის მიანდო. ო'ლირის რედაქცია ორნაირად ემსახურებოდა საქმეს. ნებადართულ გაზეთს აწარმოებდა, ხოლო საიდუმლოდ კი პარტიის საკრებულოდ გარდაიქცა. „ირლანდიის ხალხმა“ მალე დაიმსახურა ხალხის ყურადღება და მთელს მხარეს და ახალშენებს მოედო...

პოლიცია კი უთვალთვალებდა ფენიების ამ ახალ ორგანოს და მოხერხებულ დროს ელოდა, რომ ქორივით დასცემოდა... ლონდონელი ოფიციალური გაზეთი „ტაიმსი“ მალიმალ უთითებდა მთავრობას ირლანდიაზე, და ფენიების საქმიანობისაგან აფრთხილებდა. სამღვდელოებაც ერთგულად ენატანიობდა, საეკლესიო ამბიონიდან უქადაგებდა ხალხს, რომ „ირლანდიის ხალხის“ წაკითხვა, ფენიების „ღვთის საგმობი“ გულისთქმა, და რაზმელების „ორგულობა დიდი მამაკვდინებელი ცოდვააო“. ამის გამო 16 სექტემბერს 1865 წელს, ო'ლირიმ დასტამბა წერილი კიკემისა, რომელიც ამბობდა: „ჩვენი ერთადერთი ხსნა—რევოლუციააო“!... სამღვდელოებაზე—კი კიკემი სწერდა: „როდესაც ირლანდიის სამღვდელოება წმინდა ამბიონიდან ასწავლის ხალხს ენატანიობას, როდესაც სამღვდელოებას წმიდა ტრაპეზი პოლიტიკის ბუნაგად გარდაუქმნია, როდესაც სამღვდელოება ირლანდიის მომავალ კეთილდღეობას ძირს უთხრის და მის მამულიშვილთა სიცოცხლეს ჩალის ფასად არ აგდებს, ჩვენ მოვალენი ვართ მივმართოთ ხალხს და ვამცნოთ: ერიდეთ სამღვდელოებას, ეგ გაუმაძღარი სვაია, ეგ ბოროტი ასპიდია, ეგ მამულის შთამთქმელი ვეშაპია, ხალხის მოღალატე და გამცემელია—ერიდეთ სამღვდელოებასო...“ ეს უკანასკნელი ნომერი იყო ამ გაზეთისა. პოლიცია თავს დაესხა „ირლანდიის ხალხის“ რედაქციას, ოცამდე მოღვაწე, მათ შორის ო'ლირი და სტივენსიც, გაბაწრა. მთელ ირლანდიას ჟანდარმები მოედვნენ. ეს იყო სექტემბერში. ხოლო 24 ნოემბერს ფენიებმა თავისი ბელადი სტივენსი სატუსაღოდან გაიტაცეს. ის უფრო საჭირო იყო ირლანდიის გამანთავისუფლებელ მოძრაობისათვის...

1865 წელს 27 ნოემბერს გაასამართლეს ო'ლირი და ოცის წლით კატორღა მიუსაჯეს... მაგრამ დედოფალ ვიქტორიას სამინისტრო უფრო შორს წავიდა. როსსელის წინადადებით, 17 თებერვალს 1866 წელს, ვიქტორიამ ხელი მოაწერა დადგენილებაზე, რომლის ძალითაც გაუქმებულ იქმნა ირლანდიისათვის „ადამიანთა უფლებანი“ (ჰაბიას კორპუს). ირლანდიის ვიცე-კოროლი ბრალიანსა და უბრალოს იჭერდა, ატუსაღებდა. საშინელი რეაქცია დაიწყო, უსაზღვრო თავაშვება და პოლიციის ურცხვი თარეში მოედო მთელს ირლანდიას: ამ საშუალებით სურდა მთავრობას ფენიების მოძრაობის ჩაქრობა, საძირკვლიანად აღმოფხვრა. სხვათა შორის, გამოაცხადეს, „ვინც სტივენსს ან ცოცხალს ან მკვდარს ხელში ჩაგვიგდებს, საჩუქრად ათას გირვანქა სტერლინგს (ხუთას ორმოც და ათ თუმანს) მიიღებსო. ირლანდიის კიდეებს ჯაშუშანი და ნადმოსნები შემოარტყეს: ეფიქრებოდათ, ამერიკა არ მიეშველოსო. მთელი ირლანდია გადაჩხრიკა პოლიციის მანკიანმა ხელმა, საქათმე და საღორეც კი არ დარჩენიათ გაუსინჯავი. ირლანდიის ხალხი სტოვებდა სამშობლო კერას და სხვა ქვეყნებში იხიზნებოდა. ოფიციალურის ცნობებით ყოველ წლივ ას ოცი ათასამდე მეკომური სტოვებდა ბინადრობას, კარ-მიდამოს და გაურბოდა აღვირ-ახსნილ მთავრობას, ენატანია სამღვდელოებას, სულით-ხორცამდე დამღუპველ მემამულეებს... სტივენსი და მისი მედროშენი კი მაინც განაგრძობდნენ დაწყებულ საქმეს...

1867 წელს, პოლიციამ ორი თვალსაჩინო აგიტატორი ჩაიგდო ხელში—კელლი და დიზი. 18 სექტემბერს იგინი უნდა ჩამოერჩოთ. როდესაც ტუსაღები შავის ეტლით მოჰყავდათ, ანაზდეულად თავს დაეცნენ შეიარაღებული კაცები. მეეტლე და მცველები დახოცეს, ტუსაღები გაანთავისუფლეს და გაიქცნენ... მაგრამ გაჩნდა ჯარი, ასტყდა სროლა, წამლის კვამლმა ნისლში გაახვია მთელი ქალაქი. ბოლოს 23 შეიპყრო პოლიციამ, მათ შორის დიზი და კელლიც. ოცდა თხუთმეტის დღის შემდეგ, მანჩესტერში ხუთ მათგანის საქმე გაირჩა. ხუთივეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. სასჯელი საჯაროდ, შუა ქალაქში მოხდა. ერთმა მსხვერპლთაგანმა ელლენმა სიკვდილის წინ ხალხს ასე მიჰმართა: ,,ბატონებო და ქალბატონებო! მე თავი მომწონს და ვამაყობ მით, რომ რესპუბლიკის დასამყარებლად ვიბრძოდი და მისთვის ვკვდები... მე ვიბრძოდი დაჩაგრულ, დამონებულ ხალხის გასანთავისუფლებლად... სიკვდილი მე არ მაშინებს... ვამაყობ ჩემის სამშობლოით, ვამაყობ ჩემის ხვედრითაო...“

ელლენი, გულდი და ლარკინი 23 ნოემბერს (1867. წ.) მანჩესტერში საჯაროდ ჩამოარჩეს. მთელი ირლანდია ფეხზე დააყენა ამ საზარელმა ამბავმა, ფენიების რაზმები ქარცეცხლივით ასკდებოდნენ ერთს კუთხიდან მეორემდე, ერთის ქალაქიდან მეორეში გადადიოდნენ და მთავრობის საწინააღმდეგოდ მანიფესტაციებს მართავდნენ. 1 დეკემბერს (1867 წ.) ამ თავდადებულთა სახსოვრად მთელი ირლანდია გაიფიცა, მანიფესტაციები მოედო მანჩესტერსა, დუბლინსა, კორკსა და სხვა ქალაქებს... ადმინისტრაცია.. ახლაც მიიმალა.. 13 დეკემბერს ააფეთქეს კლერკენუელის ციხე. იმავე კუთხეში ფენიები სანაპირო ციხე—სიმაგრეს დაეცნენ, საიდანაც იარაღი, პატრონები და სხვა საჭირო საომარი მასალა გაიტაცეს...

ამისთანა ამბებმა ცოტა არ იყოს შეაფიქრიანა ინგლისის მთავრობა, მაგრამ მის სათავეში იდგა კონსერვატორი დერბი, რომელიც დიზრაელმა შესცვალა 1868 წ. მაგრამ დიზრაელიც კონსერვატორი იყო და თავის წინამოადგილის პოლიტიკას ვერ გასცილდებოდა იგი მშიშარა და უხასიათო იყო. მაგრამ მას მალე თავს გადაუარა ახალმა საპარლამენტო ძალამ. ეს ძალა იყო ცნობილი ლიბერალი გლადსტონი. ამავე დროს პარლამენტში მოჰხვდა ირლანდიის დამოუკიდებლობისათვის მეუგარი მებრძოლი პარნელი...

შემდეგ მაკკარტი ამბობდა ხოლმე: „ჩვენ რეფორმები არასოდეს არა გვღირსებია, სანამ ხალხის აჯანყებას არ უფეთქიაო“. მართლაც ასე მოხდა... რაც კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს, ის დიპლომატმა გლადსტონმა დაჰმართა ირლანდიას...

ნ...

ახლა შეეკითხონ კავკასიის ნამესტნიკს, რისთვისაც ნოლდე უკვე წამოვიდა კავკასიაში.

ის ხმები, ვითომ პობედონოსცევი და კოკოვცევი სამსახურს თავს ანებებენო, არ მართლდება.

„სინ ოტეჩესტვა"-ს სიტყვით, შორეულ აღმოსავლეთში ორი სანამესტნიკო არსდება. ერთი—პრიმორისა, მეორე—ჩრდილოეთ მანჯურიაში, მანჯურიის ნამესტნიკად ასახელებენ ლინევიჩს.

იგივე გაზეთი ნამდვილ წყაროებიდან იუწყება, რომ კავკასიაში საგლეხო ბანკი დაარსდება 1 იანერიდან. პირველი განყოფილება ტფილისში იქმნება და სესხებს გასცემს მხოლოდ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა კრებაზე გადასწყვიტეს, ითხოვონ, რომ ავტონომიური უფლებანი აკადემიასაც მიენიჭოს და ნება ჰქონდეთ რექტორი ბერებიდან არ აირჩიონ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

3 ოქტომბერი.

კრასნოიარსკი, 30 სექტემბერი. გუშინ ქვის ტყვიით მოჰკლეს პოლიცმეისტერი ფონ-მეყდმანი, როდესაც იგი თეატრიდან ოჯახობით სახლში ბრუნდებოდა. დამნაშავენი სახლის კარებთან უცდიდნენ.

პეტერბურგი, 30 სექტემბერი. ტრუბეცკოის გარდაცვალებისა გამო, უნივერსიტეტში სწავლა შეწყდა. სტუდენტთა ყრილობამ დაადგინა გვირგვინისათვის ფული მოაგროვონ. ყრილობის შემდეგ სტუდენტები კაროჩნის ქუჩაზე, კლინიკაში, წავიდნენ, სადაც ტრუბეცკოის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს.

მოლოგა. საერობო კრების პროგრესიულმა ნაწილმა სამოცის გლეხისა, ქალაქის ხმოსანთა და საერობო დაწესებულებათა წარმომადგენელთა თანადასწრებით კრება გამართა და დაადგინა, რომ საჭიროა გაუქმდეს გამოსასყიდი გარდასახადები და თითოეულ გლეხს 14 დესეტინამდე დამატებითი ნადელი მიეცეს. ხმის უმეტესობით კრება მიემხრო საერთო საერობო კრების რეზოლუციას სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

კრასნოუფიმსკი, 30 სექტემბერი. საერობო კრებამ სამრევლო-საეკლესიო სკოლებს სუბსიდია მოუსპო. 18 სკოლა დაიკეტა.

ვილნა. ერობის შემოსაღებად მოწვეული რჩევა პრინციპიალურად იმ აზრისაა, რომ საერობო არჩევნებში ებრაელებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. ებრაელები წარმომადგენლებათაც აირჩევიან.

პეტერბურგი, 30 სექტემბერი. თავადი ტრუბეცკოი აქ 29 სექტემბერს მოვიდა. ნაშუადღევის 3 საათზე სახალხო განათლების მინისტრს მოხსენება წარუდგინა. მოხსენების კითხვამ ერთ საათს გასტანა. თავადმა გადაჭრით აღიარა, რომ იგი წინააღმდეგია სტუდენტთა ყრილობებზე, უნივერსიტეტებში, გარეშე პირთა დასწრებისა. და პოლიტიკურის ხასიათის მიტინგების გამართვისა, თავადი სწუხდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში გარეშეთა დასწრების შესახებ არავითარი საწინააღმდეგო ზომები არ არის მიღებული და მით მოსკოვის სტუდენტობას ცუდ მაგალითს აძლევენ. თავადმა მოსკოვის უნივერსიტეტის სხვადასხვა მატერიალურ საჭიროებაზედაც ილაპარაკა. მინისტრი დიდად მადლიერი დარჩა და სთხოვა მონაწილეობა მიეღო ამ კომისიაში, რომელმაც საუნივერსიტეტო წესდება უნდა შეიმუშაოს. ამ კომისიის კრება დაიწყო $4^{1}/_{2}$ საათზე. თავადმა კამათში მონაწილეობა მიიღო და წესდების პროექტს სავსებით მიემხრო. საღამოს 7 საათი იქმნებოდა, რომ თავადი უცბად გაფითრდა, სავარძლის ზურგს მიეყუდა და დარბაზიდან მეორე ოთახში გაიყვანეს. პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინა კომისსიის წევრმა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა შჩერბაკოვმა. ათს საათზე თავადი ელენეს კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც იგი გარდაიცვალა 12 საათზე. თავადს ცნობიერება აღარ დაჰბრუნებია.

მოსკოვი. 30 სექტემბერი, უნივერსიტეტის საბჭოს კრება რექტორის ამოსარჩევად დანიშნულია 1 ოქტომბრისათვის. მოსკოვში უნდა მოვიდეს 20,000 ავადმყოფი და დაჭრილი, კომისიამ სამხედრო მინისტრს დეპეშით შეატყობინა, რომ კომისიას ამდენი კაცისათვის ადგილი არა აქვსო.

გრადონაჩალნიკის სამართველო ამჟამად არჩევს საკითხს იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა მოხდეს არჩევანების წინასწარი კრებები, ვის უნდა დაერთოს ნება ამ კრებებზე დასწრებისა და რა ინსტრუქცია მიეცეთ იმ პოლიციელთ, რომლებიც ამ კრებაზე დასასწრებლად იქმნებიან გაგზავნილი.

ყაზანი. მაჰმადიანმა ხმოსნებმა საბჭოში განცხადება შეიტანეს საბჭოს მიერ უქმე-დღეებში დასვენების შემოღებისა გამო და თხოულობენ მაჰმადიანებს ნება მიეცეთ პარასკეობით და მაჰმადიანთა სხვა უქმეებში არ ივაჭრონ ხოლმე და მართმადიდებელთა უქმეები მათთვის სავალდებულო არ იყოს. სხვა გვარი დადგენილება მაჰმადიანებს სარწმუნოებრივ სინიდისის შელახვად მიაჩნიათ,—უნივერსიტეტის საბჭომ გამოაცხადა, რომ უნივერსიტეტი 6 დეკემბერს გაიხსნებაო, თანაც აფთხილებს სტუდენტებს, თუ ვინიცობაა უნივერსიტეტმა თავისი უმთავრესი დანიშნულება არ შეასრულა, ხანგრძლივად დაიკეტებაო. საბჭომ ამასთანავე დასძინა, მიენიჭა-რა უნივერსიტეტს ავტონომია, საბჭომ დააკანონა სტუდენტთა ყრილობები, ხოლო პოლიტიკურ ხასიათის მიტინგების გამართვა, გარეშე პირთა თანადასწრებით, ჩვენ ნებაზე არ არის დამოკიდებულიო.

სტოკჰოლმი. რეიხსტაგის ორივე პალატა დღეს საღამოთი შეიკრიბება. კრებაზე მთავრობა წარადგენს თავის წინადადებას უნიის გაწყვეტას გამო და მოითხოვს, რომ მთავრობას უფლება მიენიჭოს ნორვეგიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას აღიარებისა.

ბერლინი, 30 სექტემბერი. ვაჭრობის მინისტრად დელბრიუკი დაინიშნა. — პრესსა თანაგრძნობით იხსენიებს თავად ტრუბეცკოის.

პეტერბურგი. მოსკოვიდან მოსულ კნეინა ტრუბეცკოის თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს გრაფი ვიტტე დაესწრო. კუბო გვირგვინებით შეამკეს. ღამის თერთმეტ საათზე, გარდაცვალებულის პატივის მცემელთა სურვილისამებრ, [illegible] ახალგაზდობისა, ქვრივის ნებართვით, პროფესორი პეტროვი ტრუბეცკოის გვამის გაჭრას შეუდგა.

ტოკიო, 30 სექტემბერი, ადმირალმა ნოდემ და ინგლისის ოფიცრებმა სასახლეში ისაუზმეს. წარმოთქმულ იქმნა სადღეგრძელოები მეფე ედუარდისა და მიკადოსი.

შანხაი, 30 სექტემბერი. იმპერატორის ბრძანებით კანტონ-ხანკოუ-სუჩაუს-ხან გუს რკინის გზის კონცესია გაუქმებულ იქმნა.

გროზნი, 30 სექტემბერი. თერგისა და ყუბანის ოლქებსა და სტავროპოლის გუბერნიაში მობილიზაცია გამოცხადდა. მოწვეულ არიან 1871-დან 1905 წლამდე. ქალაქს საკმაო ბინა არ მოეპოვება.

ბრეტფორდი. არტისტი არვინგი უეცრად გარდაიცვალა.

ვარშავა. 140 რუსმა სტუდენტმა სხვა უნივერსიტეტებში ითხოვეს გადასვლა.

პეტერბურგი, 1 ოქტომბერი. ნავთის მრეწველთა რჩევას მუშათა წარმომადგენლები დღეს პირველად დაესწრნენ. გამოირკვა, რომ მაჰმადიანებს მათ არჩევაში მონაწილეობა არ მიუღიათ. წაკითხულ იქმნა ბაქოს მუშათა მოძრაობის ისტორია. „ნოვოე ვრემიას" სიტყვით, ზღვათა მინისტრი ბირილევი სამხრეთ ნავთსადგურებისა და შავიზღვის ესკადრის დასათვალიერებლად ორ ოქტომბერს გაემგზავრებაო.

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, რომელიც უნივერსიტეტის ეკლესიაში იქმნა გადახდილი, უნივერსიტეტის საბჭოს საგანგებო კრება მოხდა. კრების დაწყებისას პროფესორმა მანუილოვმა ტრუბეცკოის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. საბჭომ დაადგინა: გაიგზავნოს პეტერბურგს ოთხი პროფესორი, რომელთაც კუბო გვირგვინებით უნდა შეამკონ; მგლოვიარობის ნიშნად უნივერსიტეტში სწავლა შესწყდეს; იშუამდგომლონ, რომ საბჭოს დარბაზში გამოკიდულ იქმნას ტრუბეცკოის სურათი და სხვაფრივაც უკვდავ ჰყონ სახელი გარდაცვალებულისა. სტუდენტების ყრილობაზე მანუილოვმა უარჰყო ის აზრი, ვითომც თავ. ტრუბეცკოი ძალად იყოს მკვდარი.

ბაქო, 1 ოქტომბერი. ნავთის მრეწველთა მეორე კრებამ დაადგინა: მუშაობა არ დაიწყონ ვიდრე ჯარი წესიერად არ იქმნება განაწილებული, ვიდრე პოლიციდან განდევნილი არ იქმნებიან ადგილობრივი მკვიდრნი, ვიდრე შემამბოხეთ სამართალში არ მისცემენ, ვიდრე იარაღს არ აჰყრიან მარტო სომხებს კი არა, დანარჩენ მცხოვრებლებსაც და ვიდრე ყველა ეროვნების მუშები უზრუნველყოფილნი არ იქმნებიანო.

ვარშავა. თავ. ტრუბეცკოის კუბოს შესამკობად გაგზავნილ იქმნა ლითონის გვირგვინი, პოლონურის ზედ-წარწერით: „პატიოსან კაცს, რექტორს მოსკოვის უნივერსიტეტისას ვარშავის პოლონელთა ახალგაზდობა".

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის გადაცემა ასე მოხდება: ვაშინგტონში მყოფი იაპონიის ელჩი შეატყობინებს სახელმწიფო დეპარტამენტს, რომ მიკადომ ტოკიოში ზავის შესახებ ხელი მოაწერაო.

სახელმწიფო პარლამენტი ამ ამბავს აუწყებს პეტერბურგში მყოფ ინგლისის ელჩს, რომელიც შეატყობინებს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს. გარეშე საქმეთა მინისტრი პარიზში რუსეთის ელჩის პირით აცნობებს საფრანგეთის მთავრობას, რომ ხელმწიფემ ზავის პირობებს ხელი მოაწერაო. საფრანგეთის მთავრობა, თავის მხრით, ამ ამბავს ტოკიოში მყოფ თავის ელჩს გადასცემს და ეს ელჩი იაპონიას გარეშე საქმეთა სამინისტროს აუწყებს.

რომი, 1 ოქტომბერი. ერობა შუამდგომლობს ქალთა უფლების გათანასწორების შესახებ. შუამდგომლობს აგრეთვე, რომ კოსტრომის კერძო გიმნაზიაში ორი სტიპენდია დაარსდეს გლეხთა შვილებისათვის.

ნუხა, 1 ოქტომბერი. გუშინ გაირჩა პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარ ნუხის მაზრის უფროსის თანაშემწის აბრამოვიჩის მკვლელობის საქმე. ბრალდებული შაგუნიანცი გაამართლეს.

ბაქო, 30 სექტემბერი. დილის ხუთ საათზე აქ მოვიდა ყველა ხმელეთის ჯარების ინსპექტორი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი და ნაშუადღევის $12^{1}/_{2}$ საათზე ტფილისს წავიდა.

ხარკოვი. 30 სექტემბერი. უნივესიტეტის საბჭომ დაადგინა: ქალები ყველა ფაკულტეტებზე იქმნან ხოლმე მიღებულნი თავისუფალ მსმენელებად და იშუამდგომლონ, რომ მათაც ვაჟების უფლებები მიეცეთ.

პეტერბურგი (გაგრძელება). საღამოთი გაფიცულებს „ტვერის ბულვარსა" და „სტრასტნოის" მოედანზე შეკრება უნდოდათ, მაგრამ ცხენოსანმა ჯარმა და ჟანდარმებმა ხალხი დაჰფანტეს. ღამის ათი საათიდან ქუჩებში წესიერება აღადგინეს. 24 სექტემბერს სტამბის მუშათა თორმეტმა წარმომადგენელმა სთხოვა გრადონაჩალნიკს, ნება მიეცათ მუშათა შეკრებისა ეკონომიურ საკითხების გადასაწყვეტად. ქალაქის მოურავთან შეთანხმებით, მუშებს ნება მიეცათ 25 სექტემბერს შეკრებილიყვნენ კოპცოვის საქალაქო სკოლის შენობაში. 24 სექტემბერს, ნაშუადღევის პირველ საათისათვის გაფიცულმა მუშებმა ტვერის ზასტავის მახლობლად დაიწყეს თავის მოყრა. ორის ნახევარზე რამდენიმე ასმა კაცმა მოიყარა თავი და ტვერის ქუჩით ვნებათა მონასტრისაკენ გაემართნენ. მაგრამ კაზაკებმა და ჟანდარმებმა მალე დაჰფანტეს. ამის შემდეგ მუშები ცდილობდნენ შეკრებილიყვნენ პრეჩისტენსკისა, ტვერისა და ნიკიტას ბულვრებზე. მაგრამ მუშები ყველგან დაფანტულ იქმნენ. საღამოს ოთხ საათზე დატკოვისა და ევდოკიმოვის სტამბებთან, იაკიმანის წყლის პირა ქუჩაზე, გამოჩნდა ოთხასამდე მუშა და ამ სტამბებში მომუშავეთ ძალათ მუშაობაზე ხელი აადებინა. ამ დროს მოვიდა პოლიცია და ხალხი დაჰფანტა. შეტაკების დროს დაშავდა ორი უბნის ზედამხედველი და ერთი გოროდოვოი. საღამოს ექვს საათზე მუშები კვლავ გამოჩნდნენ ნიკიტას ჭიშკარებთან და აქედან გრადონაჩალნიკის სახლისკენ აპირობდნენ დემონსტრატიულად წასვლას. პოლიციამ აქაც ხელი შეუშალა. დაშავდა ერთი კაზაკი, რომელსაც ორჯელ რევოლვერი ესროლეს და მუცელში სასიკვდილოდ დასჭრეს. საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე, ტვერის ბულვარზე, გრადონაჩალნიკის სახლის პირდაპირ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და რადგანაც პოლიციის მოთხოვნილებისამებრ არ დაიშალა, 50 კაზაკი მიუსიეს. ხალხმა კაზაკებს ქვები დაუშინა. ერთმა უმაწვილმა კაცმა კაზაკთა ესაულს რევოლვერი ესროლა, რის შემდეგაც კაზაკებმაც ხალხს თოფები დაუშინეს. დატუსაღებულ იქმნა 11 კაცი. დაიჭრა ვიღაც მახოტინი, მსუბუქად.

ადგილობრივ რევოლუციონერთა მეცადინეობით, მოძრაობა დაიწყო სხვა მუშებშიც. 25 სექტემბერს გაიფიცნენ პურის მცხობელთა მუშები, რომლებთაც აპრილში მომხდარ შეთანხმების მიუხედავად, სამუშაო ქირა დაუკლეს. გრადონაჩალნიკმა მოიხმო პურის მცხობელნი და დაითანხმა ახლავე მოემატებინათ ხელფასი მუშებისათვის და ამით გაფიცვისათვის ბოლო მოეღოთ. მაგრამ მცხობლებმა მაინც თავისი არ დაიშალეს. 25 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ფილიპოვის მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს და გაემართნენ ჩუევის ფურნისაკენ, რომ მუშებისათვის მუშაობაზე ხელი აეღებინებინათ. პოლიციამ ესენიც გაჰფანტა. დილის 11 საათსა და 30 წუთზე ფილიპოვის მუშებმა კვლავ თავი მოიყარეს ფილიპოვის საკონდიტროსთან. მუშების ერთმა ნაწილმა კი გამოაღო მეხუთე სართულის ფანჯრები და იქიდან პოლიციას ბოთლები, ქვები და აგურები დაუშინეს. გამოწვეულ იქმნა ორასი კაზაკი, რომელთაც ისევ ქვის სროლით მიეგებნენ. ამ დროს ქვით დაშავდა ერთი კაზაკი. კაზაკებმა უკან დაიხიეს და ფილიპოვის სახლის ზედა სართულებს თოფები დაუშინეს. ამ სართულებში მყოფი მუშები ყველანი შეიპყრეს—რიცხვით 197 კაცი. ამ რიცხვიდან 140 კაცი, როგორც მცირე წლოვანი, დაიგზავნენ თავთავიანთ სოფლებში. ამავე დღეს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, სრეტენსკის ჭიშკარებთან თავი მოიყარა ასმა გაფიცულმა მუშამ, მაგრამ პოლიციამ მალე დაჰფანტა იგინი. ამ დროს პოლიციას დაუშინეს ქვები და ერთმა მოწაფემ, მოსკოვის კონსერვატორიისამ, ორჯელ რევოლვერიც ისროლა. მსროლელი შეიპყრეს.

25 სექტემბერს, გრადონაჩალნიკის ნებადართვისამებრ მოხდა კრება სტამბის მუშათა დეპუტაციებისა, რომლებმაც რეზოლუცია შეიმუშავეს. შემდეგი კრება, რომელიც დანიშნული იყო 26 სექტემბრისათვის, გრადონაჩალნიკმა აღკრძალა.

ვენა, 30 სექტემბერი. მაკედონიის საერთაშორისო საფინანსო კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა რუსეთის დელეგატი დ-ემერიკი.

შანხაი, 30 სექტემბერი. გემების პატრონები და დამზღვევი საზოგადოებანი უკმაყოფილონი არიან საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის დაგვიანებისა გამო. ამ ცოტახანში დატოვებულ იქმნა გერმანიის 6 გემი.

კოპენჰაგენი 29 სექტემბერი. დანიის პრინცის კარლის ნორვეგიის მეფედ ამორჩევა თითქმის უზრუნველყოფილია.

სტამბოლი. 30 სექტემბერი. ამბობენ პორტა დაეთანხმება საფინანსო კონტროლის შემოღებას მაკედონიაში, თუ კომისიის წევრებს საფინანსო აგენტები ერქმევათ და მათი მოქმედების ვადა-განსაზღვრულ იქნებაო.

ლონდონი 30 სექტემბერი ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაცია ხვალ მოხდებაო.

სოფია. 30 სექტემბერი, ვენაში წავიდნენ დელეგატები ავსტრიასთან სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებად.

ლიუტიხი. 1 ოქტომბერი. ბრიუსელში მყოფმა იაპონიის ელჩმა სადილი გაუმართა გამოფენის კომისრებს. ბილბასოვი და რუსი კომისრები არ დაჰპატიჟა, გერმანიის კომისარმა მიპატიჟებაზე უარი განაცხადა.

ხარკოვი. სემინარიის მოწაფეებმა მიიწვიეს რექტორი და მასწავლებლები და წაუკითხეს ის პეტიცია, რომელიც უწმინდეს სინოდში გაგზავნეს. პეტიცია სწავლა-აღზრდის საქმის ძირიანად შეცვლას შეეხება სინოდის პასუხის მოლოდინში, მოწაფეებმა სწავლა შესწყვიტეს. მოწაფეები თავდაჭერით იქცევიან.

მინსკი. 1 ოქტომბერი, გუბერნატორმა ცირკულიარით აუწყა საერობო უფროსებსა და პოლიციის აგენტებს, სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევის დროს არჩევანებში არ ჩაერივნენ, მხოლოდ თვალყური კი ბეჯითად ადევნონ, რომ საარჩევნო კრებებზე არ დაესწრნენ ისინი, ვისაც ნება არა აქვს დასწრებისა.

ოდესსა. 1 ოქტომბერი, დაარსდა საფოსტო—სატელეგრაფო კურსები ქალთათვის.

ჰელსინგფორსი. 1 ოქტომბერი 1905 წ. დასარულებადე სეიმის მოწვევა უმაღლესად უარყოფილ იქმნა. პეტერბურგის პალატის ბრალმდებლის თანაშემწე კუკურანოვი დაინიშნა გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ.

ყაზანი, 1 ოქტომბერი. სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩეველთა რიცხვი ყაზანში ათასამდე ადის. მათ შორის მაჰმადიანია 150, ებრაელი—40.

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. ღელვის დროს გემიდან „კომპანია" ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო 5 მგზავრი, დაშავდა 30.

ლონდონი, 1 ოქტომბერი. დამატებითი არჩევნებში ლიბერალი ანდრიუსი არჩეულ იქმნა 4376 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 4148 რომელიც, კონსერვატორმა ფოკსმა მიიღო. უკანასკნელ არჩევნებში ლიბერალებს თავიანთი კანდიდატები არ წარუდგენიათ და კონსერვატორებს ირჩევდნენ უოპპოზიციოდ. ლიბერალების გამარჯვება მთავრობისთვის სასურველი არ იყო.

ოდესსა, 1 ოქტომბერი. გრადონაჩალნიკმა გამოაცხადა, რომ უმაღლესის ბრძანებით 30 სექტემბრიდან გაუქმებულია სამხედრო წესები, როგორც გრადონაჩალსტვოში, ისე მაზრაში. გრადონაჩალსტვოში გაძლიერებული დაცვის წესები დარჩება.

ხარკოვი, 1 ოქტომბერი. დღეს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში ხარკოვის მუშათა თანადასწრებით მიტინგი გამართა. მიტინგს 5,000 კაცი დაესწრო. პოლიცია საქმეში არ ჩარეულა.

ვიტებსკი, 1 ოქტომბერი. ცენტრალურ ქუჩაზე, ღამე, აღმოაჩინეს ფარული სტამბა. იპოვნეს ორი ფუთი ასოები, სტამბის მოწყობილობა და საწყობი ლიტერატურისა, რომელსაც სოციალ-რევოლუციონურ კომიტეტის ბეჭედი აქვს, დატუსაღებულია 30 კაცი.

ვარშავა, 1 ოქტომბერი. ქალაქის განაპირას, ბროქსის ქარხანაში მუშათა მოძრაობა დაიწყო. ბროქსის სახლს ესროლეს ყუმბარა, რომელმაც მოჰკლა მოსამსახურე ქალი, მებაღე და სახლი დააზიანა მოცვიდნენ სტრაჟნიკები, რომლებსაც 12 შეიარაღებული კაცი გადუდგა წინ და თოფი დაუშინა მოკლულია სამი სტრაჟნიკი.

ბაქო, 1 ოქტომბერი. ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მკვლელებს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

ბერლინი, 2 ოქტომბერი. „ანცეიგერი" უცნაურ ამბავს გადმოგვცემს: ამ ცოტა ხანში იაპონიის ფლოტი ადმირალ ტოგოს უფროსობით იტალიაში მოვაო.

მოსკოვი, 1 ოქტომბერი. გაზეთების ასოთ ამწყობებმა გადასწყვიტეს, მუშაობას არ დაუბრუნდნენ, სანამ გამომცემლები და ასოთ ამწყობების დეპუტატები მუშაობის წესებსა და უქმე დღეებში დასვენების საკითხს არ შეიმუშავებენ. „რუსკი ლისტოკის" და „მოსკოვის ლისტოკის" სტამბები მუშაობენ. ხვალ ეს გაზეთები გამოვლენ, გამოვა, აგრეთვე „მოსკოვსკია ვედომოსტი".

ვიტებსკი, 1 ოქტომბერი. პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გუტკინს, რომელსაც ჟანდარმის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა, ექვსი წლით კატორღაში გაგზავნა გადაუწყვიტა ხოლო ვოლოსოვსა და ალტშულერს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება. ოთხ კაცში, რომელთაც პროკლამაციების გავრცელება ბრალდებოდათ, ორი გაამართლა და ორს ოთხ-ოთხი თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

ჰელსინგფორსი, 2 ოქტომბერი. პოლიციელ მიტროფანოვის მოკვლის განზრახვის საქმე უკვე გამოიძიეს. მსახური ლინდგოლმი და დარაჯი დატუსაღებულნი არიან.

ეკატერინოდარი, 2 ოქტომბერი. დღეს გამოვიდა ყოველ-დღიურ გაზეთის „კუბან"-ის პირველი ნომერი.

ჰელსინგფორსი, 2 ოქტომბერი. პირველი ნაღმოსანი კრეისერი, რომელიც [illegible] აქციონურ საზოგადოების ქარხანაში, წყალში ჩაუშვეს.

პეტერბურგი, 2 ოქტომბერი. რომის ველიდან დაბრუნდა პრინცი ფრიდრიხი პრუსიისა. პრინცი დღესვე ახალ პეტერგოფში მათ უდიდებულესობასთან ალექსანდრიის აგარაკში გაემგზავრა, სადაც იგი საუზმეზე მიწვეული.

პეტერბურგი, 2 ოქტომბერი. ნაშუადღევის მესამე საათზე გარეშე საქმეთა მინისტრი მოვიდა, ამერიკის რწმუნებული და იაპონიის იმპერატორის მიერ საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაციის შესახებ ოფიციალური განცხადება გადასცა. ტოკიოს მთავრობას დღესვე უნდა გადაეცეს ტოკიოში მყოფ საფრანგეთის ელჩის ხელით ასეთივე ოფიციალური განცხადება ხელშეკრულობის უმაღლესად რატიფიკაციის შესახებ.

კიროჩნა ქუჩაზე აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. ტრუბეცკოის გვამის ვაგზალზე გასაცილებლად. დილის $11^{1}/_{2}$ საათზე გამოასვენეს მუხის უბრალო კუბო და დროგზე დაასვენეს, ხალხი ნიკოლოზის ვაგზლისაკენ დინჯად დაიძრა. წეს-რიგს სტუდენტები იცავდნენ. იქ მყოფი ჟანდარმები ხალხის მოთხოვნით პროცესიიდან წავიდნენ. სტუდენტთა ხორო მგლოვიარებთან ერთად „საუკუნო ხსოვნებელს" გალობდა. კუბო გვირგვინებით მორთულ საგანგებო მატარებელზე დაასვენეს. მოსკოვის უნივერსიტეტს ვერცხლის გვირგვინი გამოეგზავნა ზედ-წარწერით: „საყვარელ რექტორს, რუსეთის დიდებულ მოქალაქეს" ხელმწიფემ ცოცხალი ყვავილების გვირგვინი უძღვნა. ქვრივმა კნეინამ ხალხს მადლობა გამოუცხადა მისის მეუღლის ასეთ პატივისცემისათვის. მატარებელი დაიძრა, ხალხი ნელ-ნელა დაიშალა ნევსკი პროსპექტით.

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. გაზეთის გამომცემლებმა სტამბის მუშებს ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აღუთქვეს და მომავალ წლიდან უქმე დღეებშიაც დაასვენებენ. გაზეთის ასოთ-ამწყობები მხოლოდ მაშინ დაიწყებენ მუშაობას, როდესაც ყველა მოთხოვნილებას დაუკმაყოფილებენ.

პეტერბურგი. 2 ოქტომბერი. თავ. ტრუბეცკოის გვამის გაცილების დროს ზნამენის მოედანზე ვიღაცამ რევოლვერი დაცალა. ამის შემდეგ კაზაკები და ჟანდარმები ხალხს დაერივნენ და გაჰფანტეს. ხალხი დინჯად, სიმღერით დაჰყვა ნევის პროსპექტს. წითელი დროშები ააფრიალეს. დრო გამოშვებით პოლიცია და კაზაკები ბრბოსა ჰფანტავდნენ. როცა ხალხი უნივერსიტეტთან მივიდა, კარის გაღებას ელოდა, ამ დროს გამოჩნდნენ ჟანდარმები და კაზაკები, რომელთაც ხალხმა ქვების სროლა დაუწყო. ვინც უნივერსიტეტში ვერ შევიდა, პოლიციამ გარეკვა დაუწყო. ორ დაჭრილს უნივერსიტეტშივე შეუხვიეს ჭრილობა. პოლიციისაგან შეწუხებული ხალხი უნივერსიტეტის შენობაში ჩამტვრეულ ფანჯრებიდან ჩაცვივდა.

ხელმწიფემ კეთილ-ინება და პირველ ამა ოქტომბერს დაამტკიცა პორტსმუტში დადებული საზავო ხელშეკრულება. ეს ამბავი ეცნობა ტოკიოს მთავრობას ტოკიოში მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლის პირით. 2 ოქტომბერს, ამ დღიდან ხელშეკრულება ძალაში შედის. საზავო ხელშეკრულობის ტექსტი ამ მოკლე ხანში იქმნება გამოცხადებული ჩვეულებრივის წესით.

ხარკოვი, 2 ოქტომბერი. უნივერსიტეტის საბჭო შეუერთდა ყაზანის უნივერსიტეტის განცხადებას იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას უმაღლესს სასწავლებელთა საბჭოების დელეგატები არ უგვიანესს ოქტომბრის პირველის ნახევრისა, უნივერსიტეტის მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ეკატერინოსლავი, 2 ოქტომბერი. სამთო სასწავლებლის დირექტორად არჩეულ იქმნა წინანდელი დირექტორი—სუჩკოვი.

ვაშინგტონი, 1 ოქტომბერი. საზავო ხელშეკრულობის დეპეშები ბარონმა როზენმა და ტაკახირამ სახელმწიფო დეპარტამენტში წარადგინეს. ამის შემდეგ, ტაკახირამ პეტერბურგში მყოფ ამერიკის რწმუნებულს, ელჩს, აცნობა: შეატყობინეთ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ მიკადომ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერაო. იმპერატორთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას ასლების ვაშინგტონში გაცვლას ორი თვე მაინც მოუნდებაო.—სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის მთავრობისაგან მიიღო მიწვევის ქაღალდი ჰააგის მეორე კონფერენციაზე დასასწრებლად.

ღამის დეპეშები

3 ოქტომბერი.

ბერლინი. ნორდდეიტშე ალგემეინე ასაბუთებს, რომ ბერლინის კაბინეტს აცნობა ინგლისმა, საფრანგეთს სამხედრო დახმარება არ უთხოვნია, და, თუ ომი ატყდებოდა გერმანიასა და ინგლისის შორის, თავის ჯარით დახმარებას არ დაჰპირდებია. გერმანია არ შეჰკითხებია პარიზს ანუ ლონდონს, პარიზის პრესის [illegible] გამო.

მოსკოვი „მოსკოვსკი ვედომოსტი" გამოვიდა. სხვა გაზეთები არ გამოსულან და არც ხვალ გამოვლენ, რადგან ასოთ ამწყობებმა გადასწყვიტეს, მხოლოდ მაშინ შეუდგნენ მუშაობას, როცა წიგნის ამწყობების მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებენ.—დღეს მშვიდობიანად გაიარა.—5 ოქტომბერს ადვოკატების კავშირის დელეგატთა კრება იქნება.

კიევი. უნივერსიტეტში დიდძალი ხალხი შეიკრიბა და გუშინ კუპერნიკის დასაფლავების დროს მომხდარ ამბავის გამო თათბირობდა. შემდეგ უნდოდათ სახალხო სახლისკენ წასულიყვნენ და იქ მიტინგი გაემართა, მაგრამ წინ ჯარი დაუხვდა. ხალხი მშვიდად დაიშალა. ამბობენ, რექტორმა განაცხადა, თუ მიტინგი განმეორდა, უნივერსიტეტი დაიკეტებაო.

ოპოჩკა და **სუდჟა**. საერობო კრებებმა სამძიმარი გამოუცხადეს მოსკოვის უნივერსიტეტს, ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო.

ხარბინი. სანეიტრალო ადგილზე იაპონელები სურსათს აგროვებენ კორეის ჯარისათვის. ამ დღეებში ჩინელ ჯარის კაცთა დახმარებით. კაზაკებმა სურსათის ტრანსპორტი შეიპყრეს. სამხრეთიდან მოვიდა მთავარ-სარდალი ლინევიჩი. აქ ორ დღეს დარჩება.

პეტერბურგი. უმაღლეს ბრძანებით საზღვაო უწყებისადმი, 2 ოქტომბრიდან, დიდი მთავარი გვარდიის ეკიპაჟის მეორე ხარისხის კაპიტანი, კირილ ვლადიმირის ძე სამსახურიდ 5 გამორიცხულია.

ტოკიო 29 სექტემბერს, სოტეს სრუტეში, იაპონელებმა შეიპყრეს ვლადივოსტოკს მიმავალი ამერიკელთა გემი.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის საქმეთა გამგე ვუიჩმა „რუსს" აცნობა, ამ გაზეთში დაბეჭდილი ამბავი, ვითომც 27 სექტემბერს მინისტრთა კომიტეტს, ვიტტეს თავმჯდომარეობით ბჭობა ჰქონდა სახელმწიფოს ეხლანდელ პოლიტიკურ მგომარეობის შესახებ და გენერალ ტრეპოვის აზრიც მოისმინა, სრულიად უსაფუძვლოაო. 20 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს კომიტეტმა განიხილა რამდენიმე კერძო საქმე და ამ საქმეების განხილვას 2 ოქტომბერსაც მოანდომებსო.

გაზეთების ცნობებით, პანინის სახალხო სახლში ასოთ-ამწყობთა კრება იყო 2 ოქტომბერს და გადაწყდა შესწყდეს მუშაობა გაზეთებისა და წიგნების სტამბებში სამის დღით, არავითარი ეკონომიური მოთხოვნილობა არ წარუდგინონ სტამბების პატრონებს, ხოლო ამით ზნეობრივი სოლიდარობა გამოუცხადონ მოსკოვის სტამბების ასოთ ამწყობთ.

სტამბოლი. პორტამ ისევ გადაჭრით გამოაცხადა, რომ მაკედონიაში საფინანსო კონტროლის შემოღების წინააღმდეგია.

პარიზი. პრეზიდენტი ლუბე მთავარ ფერდინანდს არ მიიღებს, ხოლო გენერალ დუბუას გაუგზავნის.

ვაშინგტონიდან იუწყებიან რუსეთის იარაღიანი გემებს ნება ეძლევათ წავიდნენ ამერიკის ნავთსადგურებიდანო.

ხარბინი. იაპონიის როტა, სურსათის საშოვნელად გამოგზავნილი კორეის ჯარისათვის, რუსის ჯარმა შეაჩერა სანეიტრალო ადგილში, ნუზინის პროვინციაში. რუსებმა იაპონელებს წაართვეს იარაღი, საქონელი და 1000 კილოგრამი სურსათი.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

შემთხვევით
და შეღავათიანის პირობებით იყიდება დიდკაცური აგარაკი,
ქუთაისიდან ორის ვერსის მანძილზე. სახლი 6 ოთახიანია, ქვის. ბაღი 800 საჟ. ვენახი 600 საჟ. მუხის ტყე — კორაფი — 2 დესეტინა. მთელი მამული სულ 24 დესეტინა. პირობების შეტყობა შეიძლება ქუთაისში გ. ნ. ხოჯერიანთან, ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ბაგრატიონისა. ტფილისში — მამულის პატრონთან, ავჭალის ქუჩა № 82. (5—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 3 Октября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.